ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

ხატია ბუთიაშვილი

ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალების რეინტეგრაცია ქართულ შრომის ბაზარზე: სოციალურ-პოლიტიკური გამოწვევებისა და შესაძლებლობების ანალიზი

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზვიად აბაშიძე

პოლიტიკის მეცნიერების

დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2025

ანოტაცია

საბაკალავრო ნაშრომი იკვლევს ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალების შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პოლიტიკურ-ინსტიტუციურ მექანიზმებსა და სოცალურ-ეკონომიკურ ბარიერებს საქართველოში. მიზანია გამოავლინოს ძირითადი ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ ქალების წარმატებულ შრომით რეინტეგრაციას და გაანალიზოს სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა ამ ფაქტორებთან მიმართებით. კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს კერძოდ, ნახევრად სტრუქტურირებულ სიღრმისეულ ინტერვიუებსა და დოკუმენტების ანალიზს. საჯარო პოლიტიკისციკლის თეორიის გამოყენებით სწავლობს გენდერულ და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპებზე. შესაბამისად, კვლევის ობიექტია სახელმწიფო სარეინტეგრაციო პოლიტიკა და თავად დაბრუნებული ქალები, როგორც პოლიტიკის ეფექტიანობის მაჩვენებელი, ხოლო საგანი შრომითი რეინტეგრაციის პროცესი და მისი პოლიტიკურ-ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც ამ პროცესის ფორმირებასა და შედეგებზე ახდენს გავლენას. შედეგები მიუთითებს, რომ სახელმწიფოს სარეინტეგრაციო პოლიტიკა ვერ პასუხობს რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ გამოწვევებს, რის გამოც რეინტეგრაცია გადაიქცევა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობად და არა სისტემურად გამართულ პროცესად. კვლევა წარმოადგენს სიახლეს, რადგან შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის საკითხები სახელმწიფო პოლიტიკის კონტექსტში ნაკლებად არის შესწავლილი ქართულ აკადემიურ სივრცეში და ქმნის საფუძველს გენდერულად მგრძნობიარე და ეფექტიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის.

საკვანძო სიტყვები: მიგრაციის ფემინიზაცია, რეინტეგრაცია, შრომის ბაზარი, სახელმწიფო პოლიტიკა

სარჩევი

შესავალი **4**

თავი I: შრომითი მიგრაცია და რეინტეგრაცია საქართველოში: თეორიული, ევოლუციური და გენდერული ასპექტები **8**

1.1 რეინტეგრაციის ფაქტორების თეორიული საკითხები 8

1.2 საქართველოს მიგრაციის განვითარების ეტაპები და გამომწვევი მიზეზები ... 11

1.3 შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია 13

თავი II: რეინტეგრაციის მექანიზმებისა და სტრუქტურული ბარიერების ანალიზი **17**

2.1 სახელმწიფო პოლიტიკა და რეინტეგრაციის მხარდამჭერი მექანიზმები საქართველოში **17**

2.2 შრომის ბაზრის მახასიათებლებისა და სახელმწიფო რეინტეგრაციის პოლიტიკის გამოწვევების ანალიზი 22

თავი III: რეინტეგრაციის სოციალური გარემო: გამოწვევები და შესაძლებლობები **.29**

3.1 ოჯახი და საზოგადოება: სოციალური სტრუქტურა სახელმწიფოს პოლიტიკის პარალელურად 29

3.2 ემიგრაციაში მიღებული გამოცდილების გავლენა რეინტეგრაციის პოლიტიკურ გარემოზე 34

3.3 სამშობლოში დაბრუნების მოტივების გავლენა რეინტეგრაციის პროცესზე..... 37

დასკვნა **42**

გამოყენებული ლიტერატურა **45**

დანართი **50**

დანართი I 50

შესავალი

საქართველოში შრომითი მიგრაცია ბოლო რამდენიმე ათწლეულში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად. მუდმივად მაღალი უმუშევრობის დონე, დაბალი ხელფასები და ეკონომიკური არასტაბილურობა მოქალაქეებს აიძულებს, სამუშაოს საძიებლად საზღვარგარეთ წავიდნენ. ამ პროცესში შეინიშნება მიგრაციის ფემინიზაცია ქალების მზარდი ჩართულობა ემიგრაციაში. საქსტატის 2021 წლის მონაცემებით, საქართველოში ემიგრანტების საერთო რაოდენობის 45%-ს ქალები შეადგენენ (საქსტატი, 2021). ეს ტენდენცია გამოწვეულია როგორც შიდა პრობლემებით, ისე გლობალური ფაქტორებით ევროპის ქვეყნებში შინამომსახურების სფეროში ქალთა შრომაზე მზარდი მოთხოვნით. ქალები ემიგრაციას მიმართავენ საკუთარი და ოჯახის პირობების გაუმჯობესების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაცია ბევრისთვის ერთადერთი გამოსავალია, ემიგრანტთა ნაწილს გარკვეული პერიოდის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება უწევს. დაბრუნებისას ისინი აწყდებიან რეინტეგრაციის მრავალფეროვან გამოწვევებს, დაწყებული სოციალურ-კულტურული ადაპტაციით, დამთავრებული შრომის ბაზარზე ხელახალი რეინტეგრაციის სირთულეებით. ამ პროცესში სახელმწიფოს როლი გადამწყვეტია, იგი განსაზღვრავს რეინტეგრაციის პოლიტიკის მიმართულებას და ქმნის ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც ან უწყობს ხელს ან აფერხებს ქალების წარმატებულ რეინტეგრაციას. ამ ფონზე, შრომითი მიგრაციის ფემინიზაციის საკითხი პოლიტიკის მეცნიერების თვალსაზრისით განსაკუთრებით **აქტუალურია**, ხოლო დაბრუნებული ქალების შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პოლიტიკურ-ინსტიტუციური პრობლემების ანალიზი აუცილებელი.

კვლევის **მიზანია** გაანალიზდეს ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალების შრომით ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესში არსებული სირთულეები, სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა და ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც ზღუდავს ან უწყობს ხელს ამ პროცესს. მიზნის მისაღწევად, კვლევა ეფუძნება შემდეგ ამოცანებს:

1. გაანალიზდეს სახელმწიფოს რეინტეგრაციის პოლიტიკის ძირითადი მიზნები, პრაქტიკული ზომები და სოციალური პროგრამები, რომლებიც დაბრუნებული ქალების შრომით რეინტეგრაციას ემსახურება;
2. არსებული პოლიტიკის შესაბამისობის შეფასება გენდერულ და შრომითი ბაზრის საჭიროებებთან;
3. შეფასდეს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გარემო, როგორც პოლიტიკის წარმატების ან შეფერხების ფაქტორი;
4. გაანალიზდეს, ემიგრაციაში მიღებული გამოცდილება და დაბრუნების მოტივები, როგორც რეინტეგრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და ეფექტიანობის განსაზღვრის მნიშვნელოვანი ფაქტორები;

ნაშრომის კვლევის **ობიექტია** სახელმწიფოს რეინტეგრაციის პოლიტიკა, კერძოდ, ,,საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა“ და თავად დაბრუნებული ქალები, როგორც მიზნობრივი ჯგუფი და პროგრამის ეფექტიანობის მაჩვენებელი. **ნაშრომის კითხვა** განისაზღვრა შემდეგნაირად: რა თავისებურებებით ხასიათდება სახელმწიფო რეინტეგრაციის პოლიტიკა დაბრუნებული ქალების შრომით ინტეგრაციის პროცესში და რა ინსტიტუციური, სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორები განსაზღვრავენ მის ეფექტიანობას? **დაშვება** ეფუძნება საკვლევ მიზანსა და კითხვას: ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალების შრომის ბაზარზე რეინტეგრაცია არასრულფასოვანია, რაც გამოწვეულია როგორც სახელმწიფოს პოლიტიკის ინსტიტუციური და გენდერული შეუსაბამობით, ისე შრომის ბაზრის სტრუქტურული სირთულეებითა და საზოგადოებაში არსებული სოციალურ-კულტურული ნორმებით

რაც შეეხება ცვლადებს **კონცეპტუალიზაციასა და ოპერაციონალიზაციას,** უნდა აღინიშნოს,რომ ამ პროცესში რეინტეგრაცია განიხილება, როგორც კომპლექსური სოციალური ფენომენი, რომელიც მოიცავს ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალების შრომის ბაზარზე ხელახალ ინტეგრირებას, სოციალურ-ეკონომიკური პირობების აღდგენას. სახელმწიფო პოლიტიკა კი განხილულია როგორც ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს მხარდაჭერის მექანიზმებს, პროგრამებსა და რეგულაციებს.

რაც უშუალოდ ეხმიანება ქალების შრომის ბაზარზე დაბრუნებას. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები მოიცავს სტიგმებს, ბარიერებს და ოჯახურ მოლოდინებს, რომლებიც გავლენას ახდენენ რეინტეგრაციის ხარისხზე. ოპერაციონალიზაციის ეტაპზე აღნიშნული ცნებები გადაყანილია გაზომვად ინდიკატორებში და განისაზღვრება შრომითი პირობების ხარისხით, სახელმწიფოს პროგრამებში ჩართულობით, პოლიტიკის გენდერული მგრძნობელობით, შრომის ბაზრის სტრუქტურული ბარიერებითა და სოციალური მხარდაჭერის მიღებით, რაც შესაძლებელს ხდის როგორც პოლიტიკის, ისე ინდივიდუალური გამოცდილების სიღრმისეულ შეფასებას.

საბაკალავრო ნაშრომის **თეორიულ ჩარჩოდ** გამოყენებულია საჯარო პოლიტიკის ციკლის თეორია, რომელიც აღწერს პოლიტიკის ფორმირების, განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს კონკრეტული სოციალური საჭიროებების გათვალისწინებით (Howlett, Ramesh & Perl, 2009). დაწყებული - პრობლემის დეფინიციიდან, გადაწყვეტილების მიღებითა და პოლიტიკის დანერგვით, დამთავრებული - მონიტორინგითა და შეფასებით, ეს თეორია შესაძლებლობას იძლევა გაანალიზდეს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეინტეგრაციის პოლიტიკა, პრაქტიკული შესაბამისობა ქალების რეალურ საჭიროებებთან, მისი ინსტიტუციური ჩარჩო, გენდერული მგრძნობელობა და განხორციელების მექანიზმები, რაც პოლიტიკის ეფექტიანობის არსებითი კომპონენტია, ამასთანავე, გამოკვეთს იმ ეკონომიკურ-სოციალური გარემოს, რომელიც ქმნის დაბრკოლებებს შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესში.

საბაკალავრო ნაშრომის კვლევის მეთოდად შერჩეულია **თვისებრივი კვლევის მეთოდი,** კერძოდ, ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები, გამოიკითხა ემიგრაციიდან დაბრუნებული 12 ქალი. ინტერვიუების საშუალებით მიღებული ინფორმაციის შედეგად გაანალიზდა რესპონდენტთა გამოცდილება რეინტეგრაციის პროცესში, მათი დამოკიდებულება სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ და ფსიქო-ემოციური მდგომარეობა რეინტეგრაციის საწყის ეტაპზე. კვლევის მეთოდოლოგიურ საყრდენად ასევე გამოყენებულია დოკუმენტების ანალიზი,

რომელიც მოიცავს საქართველოს რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამებისა და შესაბამის პოლიტიკურ დოკუმენტებს, რაც ინტერვიუს მონაცემების კონტექსტუალიზაციასა და გატარებული პოლიტიკის სიღრსმისეულ შეფასებას უწყობს ხელს. თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან არ არსებობს მკაფიო მონაცემები დაბრუნებული მიგრანტების შესახებ, რომლებიც არალეგალურად იყვნენ უცხოეთში, **შერჩევა** განხორციელდა ,,თოვლის გუნდის მეთოდით", რომელიც გულისხმობს რესპონდენტებთან დაკავშირებას იმ პირის დახმარებით, რომელსაც აქვს კავშირი დაბრუნებულ ქალებთან. **კვლევის შეზღუდვა:** კვლევაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ქალები, რადგან კვლევის მთავარი ფოკუსი იყო შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია, ემიგრაციის ქვეყნებად შერჩეულია სამხრეთ ევროპის ორი ქვეყანა - იტალია და საბერძნეთი. ემიგრაციაში ყოფნის მინიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრა ერთი წლით. კვლევაში არ მონაწილეობდნენ სეზონური მიგრანტები, რომლებიც საზღვარგარეთ დროებით მუშაობენ და მალევე ბრუნდებიან.

თავი I: შრომითი მიგრაცია და რეინტეგრაცია საქართველოში: თეორიული, ევოლუციური და გენდერული ასპექტები

1.1 რეინტეგრაციის ფაქტორების თეორიული საკითხები

მიგრაცია გლობალური ფენომენია, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მიგრაცია შეიძლება იყოს გარე (ერთი ქვეყნიდან მეორეში) ან შიდა (ქვეყნის ფარგლებს შიგნით) და გულისხმობს კულტურული და ფიზიკური გარემოს ცვლილებას (IOM, 2021). არანაკლებ მრავალფეროვანია რეინტეგრაციის დეფინიცია, რომელიც მიგრაციის თანმდევი პროცესია. ის უკავშირდება მიგრანტის დაბრუნებას სამშობლოში და მის სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში ხელახლა ჩართვას. დაბრუნებისას მნიშვნელოვანია მიგრანტმა აღიდგინოს თავისი ადგილი, სადაც გეოგრაფიული ლოკაციის გარდა იგულისხმება, სოციალური და კულტურული ადგილი (Penninx, 2016).

ნაშრომში რეინტეგრაცია განხილულია როგორც ინტერაქციული პროცესი დაბრუნებულ იმიგრანტებს, საზოგადოებასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკონომიკურ რეინტეგრაციას, რომელშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სახელმწიფოს, შექმნას თანაბარი გარემო დაბრუნებულ მიგრანტებსა და საზოგადოებას შორის და შეამსუბუქოს არსებული სოციალურ-ეკონომიკური ბარიერები (Heckmann, 2006). ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი არა მხოლოდ როგორც მხარდამჭერი, არამედ როგორც აქტიური პოლიტიკის განმსაზღვრელი. ამ როლს ხაზს უსვამს პიტერ სტალკერის მიერ აღწერილი მიდგომა, ,,ღია ეკონომიკის“ შესახებ. ის ხაზს უსვამს სახელმწიფოს პოზიტიურ ჩარევას შრომის ბაზრის რეგულირებისა და სამუშაო ადგილების შექმნაში, რაც ამცირებს მიგრაციის მოტივაციას და ზრდის დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის შესაძლებლობებს, ამგვარი მიდგომა სახელმწიფოს წარმოაჩენს, როგორც პასუხისმგებელ ინსტიტუციას, რომელიც პოლიტიკით და რეგულაციებით ზემოქმედებს მიგრაციასა და რეინტეგრაციის პროცესებზე (Stalker, 2000)

დაბრუნებული მიგრანტების წარმატებული რეინტეგრაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ სოციალურ გარემოსთან, რომელშიც ისინი ბრუნდებიან. ქევინ ლინჩის მენტალური რუკების თეორიის მიხედვით, ინდივიდი-გარემოს ურთიერთობა დამოკიდებულია ინდივიდის მიერ გარემოს აღქმაზე. გარემოს შესახებ მიღებული შთაბეჭდილებები განსაზღვრავენ მიგრანტის ფსიქოლოგიურ კომფორტს და ინტეგრაციის დონეს. აქედან გამომდინარე, გარემოს აქვს უნარი გაზარდოს ან შეამციროს ადამიანის სტრესი (Lynch, 1960). სწორედ ამ გარემოს ფორმირებაში სახელმწიფო პოლიტიკა მოქმედებს, როგორც ფიზიკური, ასევე სოციალურ-კულტურული სივრცის კონსტრუქტორი.

ბოლო პერიოდში მიგრაციაში აშკარად იკვეთება ფემინიზაციის ტენდენცია-ქალების მზარდი მონაწილეობა შრომით მიგრაციაში. მიქაელა ვანორესა და მელისა სიგელის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც შეეხება მიგრაციის გენდერულ ცვლილებებს მოლდოვასა და საქართველოში, ამ პროცესის ძირითად გამომწვევ ფაქტორებად სახელდება ეკონომიკური სირთულეები და მიმღებ ქვეყნებში გენდერულად სეგრერირებული შრომის ბაზარი (Vanore & Siegel, 2015). ნიკოლა პაიპერი კი სტატიაში ,,გენდერისა და მიგრაციის ახალი პერსპექტივები“ მიუთითებს, რომ ქალთა შრომითი მიგრაცია უკავშირდება მათ მზარდ სოციალურ და ეკონომიკურ აქტივობას, რაც ემანსიპაციის ახალ ფორმებს უკავშირდება, მაგრამ ამავდროულად, ზრდის მოწყვლადობას სახელმწიფო და ეკონომიკური მხარდაჭერის გარეშე (Piper, 2003).

სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისთვის საჭიროა გამოიკვეთოს ის კონტექსტი, რომელშიც ქალები იღებენ მიგრაციის გადაწყვეტილებას და შემდეგ ბრუნდებიან. მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს თავდაპირველი ადაპტაციის პროცესი უცხო გარემოში, ხშირად შეუგუებლობა ხდება დაბრუნების მიზეზი. კარმელ კამილერი და მალევსკა-პიერი (1997) ნაშრომში ,,სოციალიზაცია და იდენტობის სტრატეგიები“, განიხილავენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინდივიდისთვის ინტეგრაცია ახალი კულტურული გარემოსადმი ადაპტაციის პროცესში. და აღნიშნავენ, რომ მიგრანტის უნარები და მასპინძელი საზოგადოების ტოლერანტობა გადამწყვეტია სრულყოფილი

ინტეგრაციისთვის. გამოყოფენ იდენტობის შენარჩუნების ორ სტრატეგიას: ონტოლოგიურს (საკუთარი კულტურის ერთგულება) და პრაგმატულს (მასპინძელი კულტურის გაზიარება) (Camilleri & Malewska-Peyre, 1997). ეს სტრატეგიები გავლენას ახდენენ რეინტეგრაციაზეც და შესაბამისად უნდა განიხილებოდეს სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობის ჭრილში, რამდენად ადეკვატურად პასუხობს პოლიტიკა დაბრუნებული მიგრანტების მრავალფეროვან გამოცდილებას.

რეინტეგრაციის პროცესზე გავლენას ახდენს სამშობლოში დაბრუნების მიზეზები, რომლებსაც ფრანჩესკო კერასი გამოყოფს თავის ნაშრომში ,,მოლოდინები და რეალობა: ამერიკიდან სამხრეთ იტალიაში დაბრუნებული მიგრანტების შემთხვევების კვლევა“ (Cerase, 1974). მისი მიხედვით, დაბრუნების მიზეზებია: წარუმატებლობა, მიზნების მიღწევა, ხანდაზმულობა და ინოვაციური მიზანი, ანუ დაბრუნება იმისათვის, რომ ემიგრაციაში შეძენილი უნარები ადგილობრივ შრომის ბაზარზე გამოიყენონ (Cerase, 1974). თითოეულ ამ ეტაპს სჭირდება განსხვავებული საპასუხო პოლიტიკა, რაც ხაზს უსვამს რეინტეგრაციის გენდერული და სტრუქტურული ადაპტაციის აუცილებლობას.

შრომის ბაზარზე რეინტეგრაცია რთულია არა მხოლოდ დაბრუნების მიზეზებისა და სხვადასხვა გამოცდილების გამო, არამედ იმიტომაც რომ საქართველოს შრომის ბაზარზე არსებობს გენდერული დისკრიმინაცია. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის კვლევის მიხედვით ,,გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში“, ქალები ხშირად განიცდიან გენდერულ დისკრიმინაციას დაბალი ანაზღაურებისა და შრომის ბაზრის სტერეოტიპული განაწილების სახით, რაც ხელს უშლის მათ ეფექტურ რეინტეგრაციას (CSS, 2014) ამასთანავე, ერის ჰოფმანი და სინტია ბაკლი თავის სტატიაში ,,გლობალური ცვლილებები და გენდერიზებული პასუხები: მიგრაციის ფემინიზაცია საქართველოში“ (Hoffman & Bakley, 2013). აღნიშნავენ, რომ ქალები ხშირად ვერ აცნობიერებენ დისკრიმინაციას და ემიგრაციას ოჯახური პასუხისმგებლობებით ხსნიან, რაც აძლიერებს ტრადიციულ გენდერულ როლების საქართველოში (Hoffman & Bakley, 2013). ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ჯასინტა ტრუსის მიერ შემუშავებული გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის ანალიზის ჩარჩო

(True,2003), რომელიც აფასებს, ეხმარება თუ არა კონკრეტული საჯარო პოლიტიკა გენდერული უთანასწორობის თუ პირიქით, ამყარებს არსებული უთანასწორობის მოდელს შრომის ბაზარზე (True, 2003).

ზემოაღნიშნული ლიტერატურის მიმოხილვა აყალიბებს თეორიულ საფუძველს იმის გასაანალიზებლად, თუ როგორია სახელმწიფოს როლი რეინტეგრაციის პროცესში. ხაზს უსვამს სხვადასხვა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ ქალების შრომით მიგრაციასა და შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის სირთულეებს. შესაბამისად, კვლევა ორიენტირებულია ამ კავშირების დადგენასა და გაანალიზებაზე, რომლებიც ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია.

1.2 საქართველოს მიგრაციის განვითარების ეტაპები და გამომწვევი მიზეზები

მიგრაცია საქართველოში, როგორც მასობრივი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი, განსაკუთრებით გააქტიურდა 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა კოლაფსის ზღვარზე აღმოჩნდა. დამოუკიდებლობის მოპოვებას თან ახლდა ეკონომიკური კრიზისები, ეთნიკუური კონფლიქტები, ეროვნული ვალუტის გაუფასურება და უსაფრთხოების დეფიციტი, რაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს აიძულებდა ქვეყნიდან ემიგრაციაში წასვლას. ქვეყნის დატოვება ძირითადად განპირობებული იყო უკეთესი ცხოვრების პირობების ძიებითა და დასაქმების შესაძლებლობებით. ამ პერიოდისთვის მიგრაცია ფორმალურად არ რეგულირდებოდა სახელმწიფოს მიერ, ამიტომ უმეტესწილად არალეგალურ და თვითორგანიზებულ ფორმას იღებდა (ჭელიძე, 2013). სწორედ, მაშინ ჩამოყალიბდა მიგრაცია, როგორც გადარჩენის სტრატეგია და მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი, რომელსაც გრძელვადიანი ზეგავლენა აქვს ქვეყნის შრომით ბაზარსა და სახელმწიფო ინსტიტუტებზე.

დამოუკიდებელი საქართველოს მიგრაციული გამოცდილება რამდენიმე ეტაპად იყოფა:

- 1990-2000 წლები: არასტაბილურობის და ეკონომიკური კოლაფსის ფონზე მიგრაციის პროცესი უკონტროლო, ქაოტური და ხშირად არალეგალური იყო, რადგან უკანონოდ ცდილობდნენ საზღვრის გადაკვეთას. სახელმწიფო ინსტიტუტები სუსტი და არაფუნქციური აღმოჩნდნენ მიგრაციული კონტროლის თვალსაზრისით. მიგრაცია განვითარდა დამოუკიდებლად სახელმწიფო ჩარევის გარეშე, რაც პოლიტიკის მეცნიერების თვალსაზრისით წარმოადგენს ინსტიტუციური ვაკუუმის კლასიკურ მაგალითს.
- 2000-2017 წლები: მიგრაციის პროცესი შედარებით სტაბილური გახდა, გაუმჯობესდა საკანონმდებლო ჩარჩო, გაძლიერდა სახელმწიფო ინსტიტუტები და პროცესმა გარკვეული სტაბილიზაცია განიცადა, რის შედეგადაც გაჩნდა ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობები. ამ პერიოდიდან სახელმწიფო იწყებს მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუციურ სტრუქტურაში ჩასმას, თუმცა ეს ნაბიჯები ჯერ კიდევ ფრაგმენტული იყო. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე აშკარად იკვეთება სახელმწიფოს მცდელობა გადააქციოს მიგრაცია არაორგანიზებული პროცესიდან პოლიტიკურად მართულ ფენომენად.
- 2017 წლიდან დღემდე: შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის ამოქმედებამ მიგრაციის დინამიკის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. ამ ეტაპზე მიგრაცია გადაიქცა არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ გამოწვევად, რომელიც საჭიროებს კომპლექსურ პოლიტიკურ ჩარჩოს და სამართლებრივ რეგულირებას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამახურის მონაცემებით, 2023 წელს ქვეყნიდან გავიდა 163,480 ადამიანი, ხოლო დაბრუნდა 91, 896. წმინდა გადინება შეადგენდა 71,584-ს, რაც 2022 წელთან შედარებით 54%-ით ზრდას წარმოადგენს, ხოლო 2021 წელთან შედარებით 75,3%-ით (საქსტატი,2024). აღნიშნული ციფრები ნათლად ასახავს იმას, რომ მიგრაცია რჩება მზარდ, სისტემურ პროცესად, რომლის მართვა მხოლოდ ფორმალური ინსტრუმენტებით შეუძლებელია.

გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე მიგრაციის ბუნება იცვლება: თუ ადრე ის მხოლოდ ეკონომიკური გადარჩენის მექანიზმი იყო, დღეს ის

შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც რესურსი სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციისთვის, თუმცა ეს ტრანსფორმაცია ვერ იქცევა სახელმწიფოს სარგებლად იმ პირობებში, როცა რეინტეგრაციის პოლიტიკა არ პასუხობს დაბრუნებული მიგრანტების საჭიროებებს. დღევანდელ რეალობაში საქართველოდან წასული მიგრანტები მრავალფეროვან ჯგუფებს წარმოადგენენ. არიან როგორც ეკონომიკურად მოწყვლადი მოქალაქეები, ისე კვალიფიციური პროფესიონალები. ამ ჯგუფების დაბრუნება შრომის ბაზარზე სახელმწიფოსგან ითხოვს გონივრულ პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ეკონომიკურ ინტეგრაციას, მაგრამ ხშირად მიგრაცია იძენს დროებით ცირკულარულ ხასიათს, რაც კიდევ უფრო ართულებს პოლიტიკის დაგეგმვის პროცესს. თუმცა მიგრაციას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა: ერთი მხრივ, ფინანსური ტრანსფერები აუმჯობესებს ოჯახების სოციალურ პირობებს, მეორე მხრივ, კი შრომის ბაზარზე მუშახელის შემცირება ამცირებს ეკონომიკურ სარგებლობას. ამის პარალელურად, მატულობს მოსახლეობის დამოკიდებულება ემიგრანტების მიერ გადმორიცხულ გზავნილებზე, რაც ზოგად შრომით მოტივაციას ამცირებს (Amuedo-Dorantes & Pozo, 2006).

ამგვარად, მიგრაცია საქართველოში, მხოლოდ გეოგრაფიულ ან სოციალურ-ეკონომიკური საკითხი აღარ არის. ის წარმოადგენს კომპლექსურ პოლიტიკურ გამოწვევას, რომელიც მოითხოვს კარგად გააზრებულ, გენდერულად მგრძნობიარე და ინსტიტუციურად მორგებულ რეინტეგრაციის პოლიტიკას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება იმ ქალების მხარდაჭერა, რომლებიც ბრუნდებიან არალეგალური მიგრაციის გამოცდილებით და ხშირად ეჯახებიან სისტემურ დაბრკოლებებს შრომის ბაზარზე.

1.3 შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია

შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია წარმოადგენს გლობალურ ტენდენციას, რომელიც საქართველოში განსაკუთრებულ სოციალურ და პოლიტიკურ განზომილებას იძენს. გენდერულ ჭრილში მიგრაციის ანალიზი იძლევა საშუალებას გამოიკვეთოს მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, შრომის ბაზრის სტრუქტურასა და სოციალური

როლების ტრანსფორმაციაზე. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, საერთაშორისო მიგრაციაში ქალთა მონაწილეობის დინამიკა მკვეთრად შეიცვალა, რამაც გამოიწვია ფემინიზაციის კონცეფციის ფორმირება როგორც აკადემიურ, ისე პოლიტიკურ დისკურსში (Caritas Georgia, 2012). შრომითი ფემინიზაცია არ ნიშნავს მხოლოდ ქალთა რაოდენობის მატებას მიგრანტთა ჯგუფებში, ეს ტერმინი ხაზს უსვამს იმ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცვლილებებს, რომლებიც თან ახლავს ქალთა მიგრაციას. თუ 1960-იან წლებამდე ქალები მიგრაციაში წასვლისას ძირითადად კაცების თანმხმლებ პირებად განიხილებოდნენ, დღესდღეობით ისინი აქტიური და დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტები არიან, რომლებიც მიგრაციას განიხილავენ სტრატეგიულ არჩევანად (ჩაჩავა & ზუბაშვილი, 2023).

შრომითი მიგრაციის ფემინიზაციის ფენომენის გააზრება შეუძლებელია იმ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების გამოკვლევის გარეშე, რომლებიც განაპირობებენ ქალთა ემიგრაციას საქართველოდან. რატომ მიდის უფრო ხშირად ოჯახიდან ემიგრაციაში ქალი და არა მამაკაცი? ამის მიზეზი როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებია. შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე ეს საკითხი უკავშირდება სიღარიბესა და უმუშევრობას, შესაბამისად, ქვეყნიდან წასვლა უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნის მიზნით გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ქალების არჩევანია. საქართველოში ქალებს ჯერ კიდევ არ აქვთ თანასწორუფლებიანობა სამუშაო ადგილებზე შრომის ბაზარი ისეა მოწყობილი, რომ ქალები ძირითადად დასაქმებულები არიან დაბალანაზღაურებად სექტორებში, როგორიცაა მომსახურება, განათლება და ჯანდაცვა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წელს შრომის ბაზარზე ქალების მონაწილეობის დონე 45%-ია, მაშინ, როდესაც მამაკაცების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებლი 66,4%-ია (საქსტატი, 2024).

ამ პროცესს ხელს უწყობს გარე ფაქტორებიც. განვითარებულ ქვეყნებში გაიზარდა მოთხოვნა სეგმენტირებული, არაოფიციალური შრომის კუთხით, განსაკუთრებით მოხუცის მომვლელებზე, ძიძებზე და ოჯახის დამხმარე პერსონალზე. ამგვარი სამუშაოები როგორც წესი საქართველოში ასოცირდება ,,ქალის ბუნებრივ როლთან", რაც ეფუძნება კულტურულად გამყარებულ სტერეოტიპებს. საზღვარგარეთ ამ

საქმიანობას გააჩნია ეკონომიკური ღირებულება, ანაზღაურება, ხოლო საქართველოში შეუფასებელ, უხილავ შრომად მიიჩნევა. საზოგადოებაში არსებული მსგავსი შეხედულებები ისე ღრმად არის დამკვიდრებული, რომ ხშირად არც კი განიხილება და წარმოუდგენელია სხვა შესაძლებლობები ქალისთვის, მაგალითად კარიერული და ეკონომიკური განვითარება. შედეგად ქალების მიგრაცია ხშირად იძლევა არა მხოლოდ ფინანსურ რესურსებს, არამედ სოციალურ ავტონომიასაც (Vanore & Siegel, 2015). შრომითი მიგრანტი ქალები, რომლებიც ევროპაში ამ ტიპის სამუშაოებს ასრულებენ, საბოლოოდ, მნიშვნელოვნად ცვლიან თავიანთ ცხოვრების წესს და მათი უმრავლესობა ქვეცნობიერად ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ სტერეოტიპულ წარმოდგენებს ქალის როლზე. ყველაზე მეტი ემიგრანტი ქალი საბერძნეთსა და იტალიაშია, ეს ჩანს ამ ქვეყნებიდან შემოსული გზავნილების მონაცემებით (OECD, 2022)

მიგრაციის ფემინიზაციის პროცესმა არა მხოლოდ გააღრმავა ქალების როლი საერთაშორისო შრომით მიგრაციაში, არამედ მნიშვნელოვნად შეცვალა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი. ემიგრაციაში მიღებული გამოცდილება, შრომითი კულტურა და ინდივიდუალური თავისუფლების განცდა ქალებს აძლევს რესურსს, რომელიც შესაძლოა წარმატებით გამოიყენონ დაბრუნების შემდეგ. თუმცა მათი რეინტეგრაცია არ ხდება ავტომატურად და წარმოშობს რიგ სოციალურ და ეკონომიკურ დაბრკოლებებს. ქალების მიერ მიგრაციაში შეძენილი უნარების რეალიზება საქართველოში არსებული შრომითი სტრუქტურების ფარგლებში ხშირად შეუძლებელია. სახელმწიფო პოლიტიკა კვლავ ფრაგმენტულად ვითარდება. რეინტეგრაციის მექანიზმები, რომლებიც გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებს მოითხოვს, ნაკლებად ეფექტიანია და არ უზრუნველყოფს ქალთა სრულფასოვან მონაწილეობას შრომის ბაზარზე (Hoffman & Buckley, 2013).

ამდენად ამ პროცესში მნიშვნელოვანია ფემინიზირებული შრომითი მიგრაციის პოლიტიზება - სახელმწიფო რეინტეგრაციის პოლიტიკის გაძლიერებას, რომელიც უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ ეკონომიკურ ადაპტაციას, არამედ გენდერულად თანასწორ და ღირსეულ ჩართვას შრომის ბაზარზე, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც განსაზღვრავს დაბრუნებული

მიგრანტი ქალების შრომით რეინტეგრაციას, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს თანამედროვე ქართულ რეალობაში. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ტენდენციები საჭიროებს ანალიზს, თუ რამდენად პასუხობს სახელმწიფოს არსებული რეინტეგრაციის პოლიტიკა დაბრუნებული ქალების საჭიროებებს და რა ინსტიტუციური მექნიზმებით ხდება ამ გამოწვევებზე რეაგირება.

თავი II: რეინტეგრაციის მექანიზმებისა და სტრუქტურული ბარიერების ანალიზი

2.1 სახელმწიფო პოლიტიკა და რეინტეგრაციის მხარდამჭერი მექანიზმები საქართველოში

მიგრაციის პროცესები საქართველოს საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ რეალობაში მნიშვნელოვანი გამოწვევების წყაროა. შრომითი მიგრაციის მასშტაბის ზრდის პარალელურად, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სახელმწიფოს მიერ დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის პოლიტიკის გააზრება. რეინტეგრაცია მიგრაციის ციკლის ერთ-ერთ ცენტრალურ ეტაპად მოიზარება და წარმოადგენს იმ კრიტიკულ ფაზას, როდესაც სახელმწიფოს პოლიტიკა და ინსტიტუციური რეაგირება განსაზღვრავს მიგრანტის კაპიტალის, ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობას. დაბრუნებული მიგრანტების წინაშე მდგარი გამოწვევები კომპლექსურია, მათ შორის, შრომის ბაზარზე ინტეგრაციის სირთულეები, სოციალური კავშირების დაკარგვა, პროფესიული კვალიფიკაციის შეუთავსებლობა, ფსიქოლოგიური და იდენტობის კრიზისები. ამ ფონზე, სახელმწიფოს როლი გადამწყვეტი ხდება, რადგან რეინტეგრაცია ვერ იქნება მხოლოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, მას სჭირდება სისტემური ინსტიტუციურად კოორდინირებული პოლიტიკა, რომელიც პასუხობს სოციალურ და ეკონომიკურ რეალობას (CSS, 2019).

სახელმწიფოს მიერ გატარებული რეინტეგრაციის პოლიტიკა საქართველოსთვის არა მხოლოდ სოციალური პასუხისმგებლობას, არამედ დემოგრაფიული და შრომითი რესურსების მობილიზაციის სტრატეგიულ გამოწვევას წარმოადგენს. სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც რეინტეგრაციის პროცესს განაპირობებს, საქაართველოში ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია, მაგრამ პროგრესისკენ მიმართულ პრაქტიკად რჩება. სწორედ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, რა პროგრამები და მხარდაჭერის ფორმებს სთავაზოსბს სახელმწიფო თავის

მოქალაქეებს დაბრუნების შემდეგ, როგორია მათი განხორციელების პრაქტიკა და რა გამოწვევები აღინიშნება მათ ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

საქართველოში მიგრაციის მართვა და მისი შემდგომი ეტაპის, რეინტეგრაციის პოლიტიკა ბოლო ათწლეულში ეტაპობრივად ჩამოყალიბდა და განისაზღვრა რამდენიმე მნიშვნელოვან სახელმწიფო დოკუმენტში, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ,,საქართველოს მიგრაციის სტრატეგია 2021-2030 წლისთვის", სადაც რეინტეგრაცია ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანადაა განსაზღვრული და მიზნად ისახავს დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას, პროფესიული და ადამიანური კაპიტალის ეფექტიან გამოყენებასა და კეთილდღეობის ზრდას (საქართველოს მიგრაციის სტრატეგია, 2021). ეს იძლევა სახელმწიფოს მხრიდან საკითხის სისტემურად დანახვის მცდელობას, თუმცა პრაქტიკაში ეს ხედვა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ინოვაციურ და გრძელვადიან მიდგომებს, რადგან სახელმწიფო პოლიტიკა ჯერ კიდევ ვერ ფლობს სისტემურ ინსტრუმენტებს. დოკუმენტში ხაზგასმულია საჭიროება რეინტეგრაციის ინდივიდუალურად მორგებული მიდგომებზე და კოორდინირებული ინსტიტუციური ჩარჩოზე, მაგრამ მოქმედი პროგრამები მეტწილად სტანდარტიზებულია და ნაკლებად მორგებული ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტებს სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამას სთავაზობს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. 2015 წლიდან ფუნქციონირებს ,,დაბრუნებულ მიგრანტების სარეინტეგრაციო პროგრამა", რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ფორმალურად აერთიანებს მრავალ კომპონენტს: ფინანსურ დახმარებას მცირე მეწარმეობის დასაწყებად (ერთ ბენეფიციარს მაქსიმუმ 6000 ლარი), პროფესიულ გადამზადებას, ერთჯერად ფულად დახმარებას (ოჯახზე არაუმეტეს 300 ლარი), სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტების დაფინანსებას გამოკვეთილი სამედიცინო საჭიროების მქონე ბენეფიციარებისთვის და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფას არაუმეტეს 6 ღამით (დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო

წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, 2025). მიუხედავად ამისა, პროგრამის ეფექტიანობა შეზღუდულია.

როგორც გამოკითხული მიგრანტების გამოცდილება აჩვენებს, პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სისუსტე ინფორმაციული არხების ნაკლებობაა, რაც განსაკუთრებით რეგიონში დაბრუნებულ ქალებს ეხებათ. მათთვის ხშირ შემთხვევაში პროგრამის არსებობა უცნობია, რაც ხაზს უსვამს არა მხოლოდ ინფორმაციის ნაკლებობას, არამედ სახელმწიფოს კომუნიკაციის არაეფექტურობას სამიზნე ჯგუფებთან. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:,, საერთოდ არ ვიცოდი, თუ შეიძლებოდა დახმარების მიღება სახელმწიფოსგან, როცა გავიგე გვიანი იყო განაცხადისთვის და ის ბიუროკრატიული პროცედურებიც ვერ გავიარე“ (50 წლის ქალი, კახეთიდან. 10/05/2025). ეს პრობლემა კიდევ უფრო მძაფრდება, როდესაც დაბრუნებული მიგრანტი ქალი არ არის მოტივირებული რეინტეგრაციის საწყის ეტაპზე ან არ არის მზად იმ ადმინისტრაციული პროცესებისთვის, რომელიც პროგრამაში ჩასართავად არის საჭირო. ეს პრობლემა კი ხშირია სწორედ იმ ადამიანებში, რომლებიც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ სხვა ქვეყანაში, გარიყულ გარემოში, სტრესულ სამუშაო პირობებში.

დაბრკოლებებს შორის გამოკვეთილია ტექნიკურ-ადმინისტრაციული ბარიერებიც. განაცხადის შევსებისა და დოკუმენტაციის წარდგენის პროცედურები ხშირ შემთხვევაში ზედმეტად ტექნოკრატიულია და არ ითვალისწინებს ადამიანური მხარდაჭერის აუცილებლობას. აღნიშნული განსაკუთრებით რთულია იმ მიგრანტებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ტექნიკური ცოდნა ან მსგავსი საკითხებით მოგვარების გამოცდილება და ქვეყანაში დაბრუნებისას ეკონომიკურად დაუცველ მდგომარეობაში იმყოფებიან. ქალებისთვის ეს გამოწვევები კიდევ უფრო მწვავდება, როცა არ გააჩნიათ ფორმალურად დადასტურებული სამუშაო გამოცდილება, შედეგად, მათი წვდომა პროგრამაზე იზღუდება.

გარდა პროცედურული სირთულეებისა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სახელმწიფო პროგრამის შინაარსობრივი შეუსაბამობა ბენეფიციართა საჭიროებებთან. ფორმალურად

მრავალმხირვი დახმარება რეალურად წარმოადგენს სტანდარტიზებულ, ერთგვაროვან შეთავაზებას, რომელიც იშვიათად არის მორგებული დაბრუნებულ მიგრანტთა რეალურ ცხოვრებაზე. პროფესიული გადამზადების კურსები ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება ემიგრაციაში დაგროვებულ უნარებს, რომლებიც საოჯახო სეგმენტში მუშაობისას შეიძინეს ან უბრალოდ არ პასუხობს ლოკალურ შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. რესპონდენტთა ნაწილი მიუთითებს, რომ გადამზადების პროგრამებში რეგისტრაცია ვერ შეძლეს, რადგან შემოთავაზებული კურსები მათ საჭიროებებს არ შეესაბამებიდა, ან სულაც არ იყვნენ ინფორმირებულები ამ შემოთავაზეზების არსებობის შესახებ, რის გამოც, რეინტეგრაციის პროცესი სრულად ინდივიდუალურ ამოცანად რჩება.

რეინტეგრაციის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ფინანსური დახმარება, რომელიც მცირე გრანტებით სთავაზობს დახმარებას, თეორიულად წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას ეკონომიკური დამოუკიდებლობის აღსადგენად. თუმცა პრაქტიკაში ამ დახმარების მოცულობა საშუალოდ 4 000-6 000 ლარი, ხშირად ვერ პასუხობს იმ საჭიროებებს, რაც თან ახლავს მცირე მეწარმეობის ამოქმედებასა და შენარჩუნებას. რესპონდენტთა გამოცდილებიდანაც ჩანს, რომ აღნიშნული თანხა არ არის საკმარისი საწყისი ინვესტიციებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქალს არ გააჩნია დამატებითი რესურსები. მით უმეტეს, როცა თანმდევი მხარდაჭერა როგორიცაა საბუღალტრო კონსულტაცია, ბაზრის კვლევა ან მარკეტინგი არ არის გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, პროგრამა ერთჯერადი დახმარებით შემოიფარგლება ვერ უზრუნველყოფს სტაბილურობას (დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, 2025). მსგავსი დახმარება უშედეგოა იმ შემთხვევაში, როცა დაბრუნებული მიგრანტი არ ფლობს შესაბამის მენეჯერულ ცოდნას ან ბიზნესის მართვის გამოცდილებას. ეფექტიანი რეინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია, რომ ფინანსური დახმარება იყოს არა მხოლოდ ერთჯერადი, არამედ გააჩნდეს შემდეგ ეტაპებზე მხარდაჭერის სისტემა, რაც უზრუნველყოფს მდგრადი ეკონომიკური საქმიანობის ჩამოყალიბებას და ხელს შეუწყობს წარმატებულ რეინტეგრაციასაც. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფო ხედვა კვლავ ეყრდნობა მოკლევადიან დახმარებას და არა სტრატეგიულ ეტაპობრივ

მხარდაჭერას (დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, 2025).

გარდა იმისა, რომ არსებული ფინანსური მხარდაჭერა საწყისი კაპიტალი ფორმირებისთვისაც კი არასაკმარისია, პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ შეზღუდულ რესურსებს თან ერთვის რთული და დროში გაწელილი ბიუროკრატიული პროცედურები, სხვა დახმარებებისგან განსხვავებით, ამ სერვისზე წარდგენილი განაცხადების განხილვა მეტ დროს საჭიროებს და შეფასება ქულებზე დაფუძნებული სისტემის მიხედვით მიმდინარეობს. განხილვისას გათვალისწინებულია განაცხადის შემტანის გამოცდილება, პროექტის მდგრადობა და რისკები, ასევე, მიგრანტის ემიგრაციის ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობ დაფინანსების კონკრეტული განსაზღვრული კრიტერიუმები ან უპირატესობებით სარგებლობის მქონე ჯგუფები, პრაქტიკაში, ხშირად ყურადღება ეთმობა გარკვეულ გარემოებებს, როგორიცაა, მაგილითად, მარტოხელა დედობის სტატუსი ან მცირეწლოვანი შვილის ყოლა და სხვა მსგავსი ფაქტორები. შესაბამისად, ჩამოყალიბებული პრაქტიკიდან გამომდინარე, რეინტეგრაციის ამ კომპონენტზე წვდომა ხშირ შემთხვევაში უთანასწოროა, რაც ზღუდავს პროგრამის უნივერსალურობასა და სამართლიანობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

გარდა ამისა, არსებული სახელმწიფო პროგრამა ვერ უზრუნველყოფს სქესობრივი და სოციალური ბარიერების სისტემურ დაძლევას. ქალების შრომით ჩართულობას ხელს უშლის არა მხოლოდ ეკონომიკური არასტაბილური გარემო, არამედ სოციალური მოლოდინები, რომლებიც მათ ოჯახურ მოვალეობებთან აკავშირებს. სახელმწიფო მექანიზმები პრაქტიკულად არ არის ინტეგრირებული გენდერულ მიდგომაზე, რომელიც ანგარიშს გაუწევდა სამსახურისა და ოჯახის შეთავსების სირთულის ან მოქნილობის საჭიროებას. არსებული პროგრამა სტანდარტიზებული სახით მიეწოდება ყველას, თუმცა არ ითვალისწინებს იმ სოციალურ რეალობას, რომელშიც პროგრამის ბენეფიციარები რეალურად არიან. ეს ქმნის განცდას, რომ ქალი რეინტეგრაციის პროცესში დარჩენილია მხოლოდ ეკონომიკური მხარდაჭერის იმედად, მაშინ, როცა ძირითადი ბარიერები მაინც სწორედ

სოციალური და კულტურული ხასიათისაა. როგორც კვლევებშიც აღინიშნება, გენდერული ბალანსის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა მოიცავდეს სისტემურ მიდგომებს, რომლებიც გულისხმობს ცნობიერების ამაღლებას, სერვისების ადაპტაციას და საზოგადოებრივ ნორმებზე ზემოქმედებას (CSS, 2019). სტერეოტიპული მოლოდინები დაბრუნებულ ქალზე, რომელიც თანხვედრაშია ძველ როლებთან და უარს ამბობს დამოუკიდებელ საქმიანობაზე, არ იშლება სახელმწიფო მექანიზმებით, არამედ ირიბად მყარდება მათ მიერ შემოთავაზებული ნეიტრალური მოდელებით.

ამრიგად მიუხედავად პროგრამის ფორმალურად მრავალკომპონენტიანი და პოზიტიური ფორმულირების, რეინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა ჯერ კიდევ ვერ ახერხებს საკითხის სისტემურად, გრძელვადიან პერსპექტივაში გააზრებას. რეალურ განხორციელებაში აწყდება როგორც ინსტიტუციურ, ისე გენდრულ და სოციალურ ბარიერებს. საკითხის სრული სურათის აღსაქმელად საჭირო ხდება იმ კომპონენტების დეტალური ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავენ ქალების შრომით რეინტეგრაციაზე წვდომას და ამ პროცესში სახელმწიფო ჩარევის ეფექტიანობას. სწორედ ამიტომ, შემდეგ თავებში ძირითადი აქცენტი გაკეთდება ამ ფაქტორებზე: მათ შორის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ბარიერებზე, ასევე თავად ბენეფიციარების პერსპექტივაზე. ამ ფაქტორების ანალიზი კი დაადასტურებს, რეინტეგრაცია, როგორც მიგრაციის ერთ-ერთ ყველაზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ეტაპი, საჭიროებს გააზრებულ და დაბრუნებულ მიგრანტებზე მორგებულ პოლიტიკას.

2.2 შრომის ბაზრის მახასიათებლებისა და სახელმწიფო რეინტეგრაციის პოლიტიკის გამოწვევების ანალიზი

შრომის ბაზრის სტრუქტურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალების რეინტეგრაციის შესაძლებლობებზე. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის სტრატეგიაში რეინტეგრაცია ცალკე მიმართულებად არის გამოკვეთილი, არსებული შრომითი გარემო ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს რეალურად ხელმისაწვდომ შესაძლებლობებს, რაც ქალების სრულფასოვან შრომით ჩართულობას

შეუწყობს ხელს. პრობლემები, რომლებიც იკვეთება შრომის ბაზარზე, მიუთითებს არა მხოლოდ ეკონომიკურ სირთულეებზე, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის შინაარსობრივ შეუსაბამობაზე გენდერულ და რეგიონულ რეალობასთან.

საქართველოს შრომის ბაზარი გამოირჩევა არასტაბილურობითა და სტრუქტურული გამოწვევებით, უმუშევრობის მაღალი დონით, ბაზრის სეგმენტაციით, არაფორმალური დასაქმებითა და სოციალური უთანასწორობით. 2024 წლის მონაცემებით უმუშევრობის მაჩვენებლმა 14,2% შეადგინა (საქსტატი, 2024). შემცირებული მაჩვენებლის მიუხედავად, უმუშევრობა ქვეყნის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რადგან არაფორმალურად დასაქმებულთა რიცხვი ოფიციალურ სტატისტიკაში არ აისახება. დასაქმების მაჩვენებლის გენდერულ ჭრილში განხილვა გვიჩვენებს, რომ უმუშევრობა განსაკუთრებით მაღალია ქალებში მამაკაცებთან შედარებით და რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაში: 2023 წლის მონაცამებით დასაქმებულთა წილი კაცებში 53.2%, ხოლო ქალებში 37,1% იყო (საქსტატი, 2023). არსებული რეალობა აჩვენებს, რომ საქართველოს შრომის ბაზარი მხოლოდ ფორმალურად იძლევა თანასწორი წვდომის შესაძლებლობას, მაშინ როცა რეალური პრაქტიკა ხშირად ჩამოყალიბებულია არაფორმალურ მექანიზმებსა და სოციალური კაპიტალის პრინციპებზე დაყრდნოთ. მიუხედავად გარკვეული დადებითი ტენდენციებისა, შრომის ბაზარი კვლავ არ პასუხობს იმ ადამინთა საჭიროებებს, რომლებიც შრომით პროცესს ხანგრძლივად იყვნენ მოწყვეტილი. მიგრანტთა გამოცდილება აჩვენებს, რომ ბაზარი სეგმენტურად დახურული რჩება. დასაქმების შესაძლებლობები ძირითადად კონცენტრირებულია მომსახურების, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროშებში, მაშინ, როცა შედარებით მაღალანაზღაურებადი დარგები, როგორიცაა ეკონომიკის სფეროები: ინფორმაციული ტექნოლოგიები, ფინანსები და ინჟინერია მოითხოვს სპეციალიზებულ ცოდნასა და ტექნიკურ უნარებს, რაც სამუშაო ძალის დიდ ნაწილს არ აქვს და ბევრი მიგრანტისთვისაც მიუწვდომელია.

სისტემურ პრობლემას წარმოადგენს შრომის ბაზარზე მკაფიო უნარების შეუსაბამობა, რაც განსაკუთრებით მძაფრად აისახება ემიგრაციიდან დაბრუნებულ ქალებზე, რომელთა გამოცდილება ხშირად არ ითვლება საკმარისად მნიშვნელოვან

გამოცდილებად ადგილობრივ შრომით მოთხოვნებთან, რის გამოც იძულებულნი არიან პროფესიული გზა თითქმის თავიდან დაიწყონ. პროფესიული ქსელებისა და გამოცდილების არარსებობის პარალელურად, თავად სისტემის მოთხოვნებიც იწვევს სტრუქტურულ დაპირისპირებას ქალების ცოდნასა და შრომით პოზიციებს შორის. ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც საბერძნეთში ბავშვების მომვლელად მუშაობდა, საქართველოში ვერ დასაქმდა ბაგა-ბაღში, რადგან არ გააჩნდა ,,ოფიციალური სტაჟი", რაც დამსაქმებლისთვის კომპენტენციაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. (55 წლის ქალი, თბილისი, 13/05.2025) ეს შემთხვევა ცხადყოფს, რომ შრომის ბაზრის ფორმალური ინდიკატორების მიღმა იმალება ინსტიტუციური, კულტურული და ეკონომიკური ბარიერები, რეალური უნარები ხშირად უგულებელყოფილია ფორმალური კრიტერიუმების სასარგებლოდ.

სწორედ ამ სტრუქტურული შეუსაბამობისა და ოფიციალური დასაქმების მკაცრი, ხშირად არაეფექტიანი მდგომარეობის გამო, დაბრუნებულ ქალებს უწევთ არაფორმალურ სექტორში ჩართვა, რომელიც არ მოითხოვს უმაღლეს განათლებას, დიპლომებს ან სერთიფიკატებს, ემიგრაციიდან დაბრუნებულისთვის ხშირად იქცევა რეინტეგრაციის პრაქტიკულ თუმცა არასაიმედო და ეკონომიკურად არასტაბილურ სტრატეგიად. ასეთი არჩევანი არ უკავშირდება პროფესიულ განვითარებას და მხოლოდ ეკონომიკური გადარჩენის გზას წარმოადგენს და ქალებს სისტემისგან კიდევ უფრო აშორებს. სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც რეინტეგრაციის პროგრამებით ხელშეწყობას ისახავს მიზნად, ვერ უზრუნველყოფს შრომის ბაზრის ამ ტიპის სტრუქტურულ გამოწვევებზე ადეკვატურ რეაგირებას. პროფესიული გადამზადების პროგრამები ხშირად არ არის მორგებული მათ უნარებსა და საჭიროებებზე, რაც რეალურად გააჩნიათ. შედეგად, ქალები, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ საზღვარგარეთ ,,შინამომსახურეებად", საქართველოში დაბრუნების შემდეგ აღმოჩნდებიან ფორმალური დასაქმების მიღმა, არა კვალიფიკაციის არქონის, არამედ სახელმწიფოს მხრიდან ამ უნარების აღიარების დეფიციტის გამო.

გარდა სტრუქტურული ბარიერებისა, მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის შრომის ბაზარზე არსებული ნეპოტიზმი, როცა დასაქმების უპირატესობა ენიჭება პირად

კავშირებს კვალიფიკაციისა და გამოცდილების ნაცვლად. ეს ზღუდავს თანაბარ წვდომას და განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნის მიგრანტი ქალების შრომით ინტეგრაციას (Tukhashvili, 2013). რესპონდენტთა გამოცდილება აჩვენებს ნეპოტიზმის ორმხრივ ეფექტს: რესპონდენტთა ნაწილი დასაქმდა ახლობლების დახმარებით, მაშინ, როცა სხვებმა, საჭირო კვალიფიკაციის მიუხედავად, კავშირების არქონის გამო დასაქმება ვერ შეძლეს. შედეგად, ნეპოტიზმი, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ სტრუქტურული და კულტურული ელემენტია, რეინტეგრაციის პროცესს აბრკოლებს ან ხშირად იქცევა შემთხვევით მხარდამჭერ ფაქტორად, რაც აჩვენებს შრომის ბაზრის არათანაბარ ხასიათს და სისტემურ სირთულეებს, რომლებიც ემიგრაციიდან დაბრუნებულ ქალებს უწევთ დაძლიონ. ამასთანავე, ასახავს იმ რეალობას, სადაც სახელმწიფო პოლიტიკა რეინტეგრაციის მხარდასაჭერად ვერ უზრუნველყოფს სამართლიან და გამჭირვალე შრომითი გარემო შექმნას.

შრომის ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებად ასაკობრივი დისკრიმინაცია რჩება. განსაკუთრებით 50 წელს გადაცილებული ქალებისთვის. მიუხედავად ფორმალური შეზღუდვების არქონისა, დამსაქმებლები უპირატესობას ხშირად ახალგაზრდებს ანიჭებენ, განსაკუთრებით საოფისე და საშუალო რგოლის პოზიციებზე. შედეგად, დაბრუნებული ქალები, იძულებულები არიან დასაქმდნენ დაბალანაზღაურებად, არაფორმალურ სექტორში, სადაც ასაკი ნაკლებად გადამწყვეტია, ეს ყოველივე კი აისახება მათ თვითშეფასებაზეც. ბევრი მათგანი ფიქრობს, რომ ,,გვიან დაბრუნდა“ ან ,,ცხოვრების ყველაზე პროდუქტიული წლები უკვე დაკარგა უცხო მიწაზე“. ეს ქმნის ფსიქოლოგიურ ბარიერს, რაც ამცირებს რეინტეგრაციის მოტივაციას. კვლევაში მონაწილე რესპონდენტების გამოცდილება აჩვენებს, რომ 50 წელს გადაცილებული ქალები დამსაქმებლის მიერ ხშირად მიიჩნევიან ,,დასაქმების ასაკს მიღწეულად“. ერთმა მათგანმა, ვინც საბერძნეთში 10 წელი მზარეულად მუშაობდა, თქვა: ,,როცა დავბრუნდი და სამსახური მოვინდომე, პირდაპირ არ უთქვამთ, მაგრამ მაგრძნობინეს, რომ ,,ასაკში ვარ“, თითქოს ასაკი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცოდნა და გამოცდილება“ (55 წლის ქალი, თბილისიდან. 11/05/2025). ასაკობრივი დისკრიმინაცია გენდერულ დისკრიმინაციასთანაა გადაჯაჭვული, რაც ორმაგ ბარიერს ქმნის ქალებისთვის. დამსაქმებლები ხშირად უარყოფენ ემიგრაციაში მიღებულ

გამოცდილებას, რადგან ის ,,სხვა რეალობაშია“ შეძენილი და ქართულ ბაზარს ვერ ერგება (Mataradze, Turkiashvili, & Elikashvili, 2024). სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული პროგრამები და პოლიტიკა, უმეტესად, ვერ აღიარებს ან ვერ ეგუება ამ სოციალურ კონტექსტს და რჩება სქესისადმი ნეიტრალურ მოდელად, რაც რეალურად უგულებელყოფს ქალების სპეციფიკურ საჭიროებებს. ასაკობრივი დისკრიმინაცია არა მხოლოდ შრომის ბაზრის ტექნიკური ბარიერია, არამედ ღრმად კულტურულად ფესვგადგმული შეხედულება, რომელიც სისტემური ჩარევას, სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის გააქტიურების აუცილებლობას უსვამს ხაზს.

მიუხედავად იმისა, რომ რეინტეგრაციის პროცესში ასაკობრივი ბარიერი მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს, ის არ ამოწურავს სისტემურ სირთულეებს, რომელთა წინაშეც დაბრუნებული ემიგრანტი ქალები დგანან. ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილად რჩება გენდერული ნიშნით სტრუქტურული დისკრიმინაცია. (ბენდელიანი და სხვ., 2014). ეს დისკრიმინაცია ხშირად ფარულ და ირიბ ფორმებს იძენს: ვაკანსიებში, როგორც წესი, არ ფიქსირდება ღია შეზღუდვები, თუმცა გასაუბრების პროცესში დასმული კითხვები, დამსაქმებლის დამოკიდებულება და შერჩევის მექანიზმები აშკარად ასახავს გენდერულ მიკერძოებას. განსაკუთრებით ხშირმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ქალთა შრომითი კომპენტენცია ფასდება არა პროფესიული კვალიფიკაციითა და გამოცდილებით, არამედ პირადი და ოჯახური სტატუსის საფუძველზე, თუ რამდენად მოახერხებს ოჯახური ვალდებულებების და შრომითი დატვირთვის შეთავსებას. ასეთი დამოკიდებულება ქმნის სტრუქტურული უთანასწორობას შრომის ბაზარე და ამყარებს იმ წარმოდგენას, რომ ქალი პირველრიგში ოჯახის წევრია, ხოლო შრომითი აქტივობა მხოლოდ მეორე ხარისხოვან ფუნქციად განიხილება. კვლევის ფარგლებში ქალმა, რომელსაც საბერძნეთში მოხუცის მოვლასთან, ერთად კვალიფიკააციის ქონის გამო ექთნის ფუნქციებსაც ითავსებდა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ სცადა ისევ ძველ საქმიანობას დაბრუნებოდა, მან აღნიშნა: დირექტორმა, ქალი იყო, პირდაპირ მითხრა, რომ კლინიკაში ღამის ცვლა ხშირად იყო და ოჯახიან ქალებს უჭირდათ, რადგან ქმრები წინააღმდეგები იყვნენ“ (47 წლის ქალი, თბილისი, 5/05.2025). ეს შემთხვევა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ მიზეზით, რომ დისკრიმინაცია მხოლოდ მამაკაცებისგან კი არა, ზოგჯერ ქალებისგანაც მოდის, რაც მიუთითებს

ქართულ საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმულ სქესობრივი როლების მოლოდინებსა და სტერეოტიპებზე, სადაც ქალის მთავარი საქმე ოჯახშია (UN Women, 2019).

ქალი, რომელიც მუშაობს განიხილება როგორც პოტენციური ,,პრობლემის მატარებელი", რადგან შესაძლოა ოჯახური ვალდებულებების გამო ვერ შეძლოს საქმის სრულფასოვანად შესრულება. ეს არის არაპირდაპირი დისკრიმინაცია, რაც ვლინდება მაშინ, როდესაც მათ უნარებსა და გამოცდილებას ფარავს სქესობრივი როლი (CSS, 2019). თუ რამდენად შეძლებს ქალის სამუშაოს ,,ოჯახთან შეთავსებას"- ეს კითხვა არ ისმება კაცების მიმართ და სწორედ ამ უთანასწორო მოლოდინში ვლინდება გენდერული როლებთან დაკავშირებული სტერეოტიპული წარმოდგენები. აღსანიშნავია, რომ ეს მიკერძოება ხშირად არ მიიჩნევა ისეთ პრობლემად, რომელშიც სახელმწიფოს ჩარევა სავალდებულია. ინსტიტუტები დამსაქმებელს არც კონტროლს უწევენ და არც რეკომენდაციებს აძლევენ გენდერული მგრძნობელობის სტანდარტებზე, რაც რეინტეგრაციის პოლიტიკის სუსტ მხარედ რჩება. ამგვარად, შრომით რეინტეგრაციაში არსებული გენდერული ბარიერები არ წარმოიქმნება მხოლოდ სოციალურ ნორმებზე დაყრდნობით, არამედ ყალიბდება სახელმწიფოს მიერ მიტოვებული სივრცის პირობებშიც, სადაც არ არსებობს შრომის ბაზრის რეგულირების მექანიზმები და არც ქალთა შრომითი უფლებების რეალური დაცვა.

ამ ყველაფერთან ერთად, რეინტეგრაციას დამატებით ბარიერს უქმნის გეოგრაფიული ფაქტორი. დასაქმების შესაძლებლობები ძირითადად თბილისშია კონცენტრირებული (საქსტატი,2024). ამ ფონზე რეგიონში მცხოვრები ქალები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი არაფორმალურ, დაბალანაზღაურებად პოზიციებზე. პროფესიული ქსელების არარსებობა, ადგილობრივი გამოცდილების მოთხოვნა და არასტაბილური სეზონური შრომა მათ რეინტეგრაციას გაცილებით მეტად ართულებს და უზრუნველყოფს მინიმალურ შემოსავალს, მაგრამ არ იძლევა სტაბილურობას, სოციალურ გარანტიასა და განვითარებას. (Zurabishvili & Zurabishvili, 2010) არაფორმალურ სექტორში დასაქმება ხშირად ნიშნავს მუშაობას კონტრაქტისა და რეგულაციების გარეშე, რაც ამცირებს შრომითი უფლებების დაცულობას (Social Justice Center, 2021). სივრცობრივი ბარიერი ქალებისთვის გადაიქცევა ეკონომიკურ და

სოციალურ იზოლაციად, რაც რეინტეგრაციას განსაკუთრებით რთულ ამოცანად აქცევს რეგიონებში მცხოვრები ქალებისთვის.

ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალების შრომით რეინტეგრაციაში ხშირად პრობლემას არ წარმოადგენს მხოლოდ გარე ბარიერები, არამედ თავად ქალების აღქმაც საკუთარი გამოცდილების მიმართ. არაერთი შემთხვევის ანალიზი ცხადყოფს, რომ ხშირად ისინი არ აღიქვამენ ემიგრაციაში გატარებულ მძიმე შრომას და თავგანწირვრად, ჩაგვრად ან უსამართლო სოციალური გარემოს შედეგად, პირიქით, ამაყობენ ოჯახის მხარდაჭერით საკუთარი ჯანმრთელობის ფასად. ნარატივები როგორიცაა: ,,ოჯახისთვის თავი შევალიე", ,,ქალმა ოჯახისთვის ყველაფერი უნდა აიტანოს", ასახავს მენტალურ ნორმას, რომელიც თავგანწირვას ღირსებად და მორალურ გამარჯვებად აქცევს. ქალები ხშირად ვერ აღიქვამენ სტრუქტურულ პრობლემას, რომლებიც მათ მარგინალიზაციას იწვევენ, რის გამოც ცვლილება ძნელდება.

ამგვარად, ქალების ქვეცნობიერი იდენტიფიკაცია მსხვერპლთან ისეა გაჯერებული ღირსების განცდით, რომ თავად ჩაგვრის აღქმა ჩრდილში ექცევა. ამიტომ რეინტეგრაციის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინსტიტუციური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, არამედ ქალების მხარდაჭერა იმგვარად, რომ შეძლონ საკუთარი გამოცდილების კრიტიკული შეფასება და ცნობიერების ამაღლება იმ კუთხით, რათა გაიაზრონ რომ თავგანწირვა და სოციალური ჩაგვრა ურთიერთგამომრიცხავი არა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენებია. საბოლოოდ, დაბრუნებული მიგრანტი ქალების რეინტეგრაცია შრომის ბაზარზე სცდება მხოლოდ დასაქმების პრობლემატიკას და წარმოადგენს სოციალური ჩაგვრის, კულტურული სტერეოტიპებისა და სტრუქტურული უთანასწორობის ერთობლივ ანარეკლს. რეინტეგრაციის პოლიტიკა საჭიროებს არამხოლოდ ეკონომიკური ცვლილებებს, არამედ ღირებულებით გარდატეხას, გარემოს შექმნას სადაც მიუხედავად ასაკისა თუ სქესისა ქალის გამოცდილება იქნება აღიარებული, ხოლო სოციალური სტერეოტიპები სისტემურად დაძლეული.

თავი III: რეინტეგრაციის სოციალური გარემო: გამოწვევები და შესაძლებლობები

3.1 ოჯახი და საზოგადოება: სოციალური სტრუქტურა სახელმწიფოს პოლიტიკის პარალელურად

მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზრის სტრუქტურული სირთულეები და ინსტიტუციური მხარდაჭერის დეფიციტი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს დაბრუნებული ქალების შრომით რეინტეგრაციაზე, პრობლემა გაცილებით ღრმად, სოციალურ მექანიზმებშია ფესვგადგმული. გენდერული მოლოდინები, ტრადიციული ოჯახური როლები, სტერეოტიპები და სტიგმატიზაცია ქმნიან იმ სოციალურ კონტექსტს, სადაც რეინტეგრაციის პოლიტიკა ან ვერ შედგება, ან ფორმალურ დონეზე რჩება. სწორედ ამ სოციალურ გარემოს პოლიტიკურ სისტემაში ინტეგრირება უნდა იყოს სახელმწიფოს ფუნქცია, რათა რეინტეგრაცია არ დარჩეს მხოლოდ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობად. შესაბამისად, სოციალური ფაქტორების გაანალიზება აუცილებელია იმ ფართო სისტემური სურათის გასაგებად, რომლის პირობებშიც დაბრუნებული ქალები ცდილობენ შრომით სივრცეში ინტეგრაციას.

რეინტეგრაციის პროცესში ოჯახი და საზოგადოება არის პირველადი სოციალური გარემო, რომლებიც ან ამარტივებენ ან აფერხებენ ქალის შრომით რეინტეგრაციას. თუმცა, ეს ურთიერთობა არ არსებობს ვაკუუმში, ის მჭიდროდაა გადაჯაჭვული იმ პოლიტიკურ-ინსტიტუციურ სტრუქტურასთან, რომელსაც სახელმწიფო ქმნის ან ვერ ქმნის დაბრუნებული მიგრანტებთან მიმართებით. როგორც კვლევები (IOM, 2021) აჩვენებს, დაბრუნებული ქალები ხშირად აწყდებიან ტრადიციულ გენდერულ მოლოდინებს, რომლებიც ემიგრაციაში შეძენილი ეკონომიკური დამოუკიდებლობის შინაარსს შლის (Kofman, 2004). სახელმწიფო კი არ ფლობს რეალურ ბერკეტებს ამ დაძაბულობის შესამსუბუქებლად. არ არსებობს განათლების, პროფესიული გადამზადების ან საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად ფორმალური არხები, რომლებიც ოჯახსა და თემს დააკავშირებდა რეინტეგრაციის სტრატეგიასთან. ემიგრაციაში გატარებული წლების შემდეგ ქალები

ხშირად განიცდიან გაუცხოებასა და ემოციურ წყვეტას ოჯახის წევრებთან. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: ,,საკუთარ სახლში თავი უცხოდ ვიგრძენი, თითქოს არაფერი შეცვლილა, მაგრამ ყველაფერი სხვანაირი იყო“ (58 წლის ქალი, კახეთიდან. 9/05/2025) ეს განცდები ნათლად გამოხატავს იმ ემოციურ თუ ფსიქოლოგიურ გაუცხოებას, რომელიც ემიგრაციაში ყოფნისას ვითარდება. დაბრუნებისას ოჯახს აღიქვამენ ,,მეორე პირთა“ თვალით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა დაბრუნებულ მიგრანტ ქალს ოჯახი უკვე ახალი პესპექტივით აღიქვამს (Ruhs & Anderson, 2010). სწორედ ამ დროს ოჯახის წევრები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს, რადგან მათი მხარდაჭერა აადვილებს ხელახალ ადაპტაციას გარემოსთან.

სოციო-ემოციური ბარიერების გადალახვის შემდეგ, ხშირია ახალი პრობლემები და გამოწვევები, რომელიც დაკავშირებულია ქალის როლთან ოჯახში. ოჯახი, როგორც სოციალური თუ ეკონომიკური ერთეული, პასუხისმგებელია ქალის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რა სამუშაოს შესრულება ან არ შესრულება იქნება მისთვის მისაღები. ემიგრაციაში ყოფნისას ქალები არიან ოჯახში მთავარი შემომტანები, ხოლო დაბრუნების შემდეგ მათგან ტრადიციული გენდერული როლის შესრულებას მოელიან (UNDP, 2022). ქალის დაბრუნების შემდეგ ეკონომიკური პასუხისმგებლობა გადადის ისევ მამაკაცზე, ხოლო ქალის ვალდებულება ოჯახის საქმე ხდება. ეს ცვლის მათ სოციალურ სტატუსს და ქმნის დაძაბულობას, რადგან ქალი, რომელიც ემიგრაციაში ეკონომიკურად დამოუკიდებელი იყო, ხშირად იძულებულია დაბრუნების შემდეგ ოჯახის სტრუქტურაში ფინანსურად პასიური როლი შეითავსოს და შეასრულოს ყოველდღიურად ის მოვალეობები, რომლისთვისაც საზღვარგარეთ ანაზღაურებას იღებდნენ. შესაბამისად, აუცილებელია, ოჯახის წევრების მოლოდინებისა და ქალის პირადი პრიორიტეტების თანხვედრა, რაც გაადვილებს შრომით რეინტეგრაციას. სახელმწიფოს მხრიდან რეინტეგრაციის პოლიტიკის არარსებობა ან ზედაპირულობა კიდევ უფრო ზრდის სტრუქტურულ ზეწოლას, რადგან რეალურად არ არსებობს ადგილობრივი სამოქმედო გეგმა და მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც დაეხმარება ქალებს თვითრეალიზაციის გზის პოვნაში ან საზოგადოებრივი სტიგმების დაძლევაში.

რეინტეგრაციის პროცესს ართულებს ოჯახური მხარდაჭერის ნაკლებობა, განსაკუთრებით იმ რეალობის გათვალისწინებით, როცა ქალმა ემიგრაციაში ყოფნისას ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფუსთვის პირადი თავისუფლება გაიღო. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მისი შრომა გახდა ოჯახის კეთილდღეობის საფუძველი, დაბრუნებისას ქალები ხშირად ხვდებიან მოუმზადებელ ოჯახურ გარემოში, რაც მათ შრომით რეინტეგრაციას აფერხებს. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: ,,შევძელი ოჯახის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ დაბრუნებისას მათი მხარდაჭერა ვერ ვიგრძენი“ (56 წლის ქალი, იმერეთდან, 15/05/2025), რაც ხაზს უსვამს ემოციური მხარდაჭერის დეფიციტს და მის გავლენას ქალის მოტივაციაზე. ამ ფონზე ოჯახი სოციალური გარემო არიან პირველი ,,შესაძლებლობების კარი“ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის გზაზე, რომლებიც ან აიოლებენ ან აჩერებენ ქალის სრულფასოვან დაბრუნებას სოციალურ და ეკონომიკურ სივრცეში. ამ პროცესში კი სახელმწიფოს არ აქვს მექანიზმი, რომელიც დააკავშირებდა დაბრუნებულ ქალებს პროფესიულ სფეროებთან ან საგანმანათლებლო პლატფორმებთან, რის გამოც რეინტეგრაცია რჩება მხოლოდ პირად ძალისხმევად და არა სტრუქტურულად მხარდაჭერილ პროცესად.

დაბრუნებულ მიგრანტ ქალთა შრომით რეინტეგრაციას ხშირად ახლავს სოციალური ადაპტაციის ფაზა, რომელიც ოჯახს გარეთ, საზოგადოებრივ ურთიერთობებში მიმდინარეობს. ქალი, რომელიც ემიგრაციაში ფინანსურად და პიროვნულად დამოუკიდებელი გახდა, დაბრუნების შემდეგ ცდილობს შეინარჩუნოს ეს მდგომარეობა, თუმცა საზოგადოება კვლავ მოითხოვს კონკრეტული ტრადიციული როლების შესრულებას და ქალს არ აღიქვამს როგორც ინდივიდს დამოუკიდებელი გამოცდილებით. რესპონდენტი, რომელიც 9 წლის შემდეგ იტალიიდან დაბრუნდა ამბობს: ,,როცა დაბრუნების შემდეგ ვთქვი, რომ მუშაობა მინდოდა, მითხრეს - ისევ სხვისი საქმე რომ არ აკეთო, ოჯახში საქმეზე მეტი რა არისო“. (54 წლის ქალი, კახეთიდან. 7/05/2025) მსგავსი დამოკიდებულება ასახავს პატრიარქალურ ნორმებს, სადაც ქალის შრომა საჯარო სივრცეში გაუფასურებულია და საზოგადოება ხშირად აგრძელებს მათ შეფასებას როგორც ,,ოჯახის საკუთრებას“. სწორედ სტიგმები და ტრადიციული როლების მოლოდინი, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის გარეშე,

მხოლოდ ამაგრებს ქალის იზოლაციას. სტიგმატიზაცია, რაც განსაკუთრებით რეგიონებშია გავრცელებული კიდევ უფრო ართულებს ქალების სრულფასოვან რეინტეგრაციას. ერთი მხრივ, საზოგადოებისთვუს ისინი აღიქმებიან როგორც ადამიანები, რომლებმაც ფული გამოიმუშავეს და ოჯახის კეთილდღეობა გაზარდეს, მეორე მხრივ კი, საზოგადოება მათ აყენებთ ტრადიციულ ჩარჩოებში, სადაც დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებები და ქალის განსხვავებული ქცევები ეჭქვეშ ექცევა. რესპონდენტების ნაწილს, რომლებიც ახალ გამოცდილებასთან ერთად დაბრუნდნენ საზოგადოება აკრიტიკებდა ჩაცმულობის, აზროვნების ან ქცევის ცვლილებისთვის: ,,მითხრეს, რომ ევროპამ ცუდად იმოქმედა ჩემზე...“- აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი (60 წლის ქალი, კახეთიდან. 4/05/2025)

საზოგადოებრივ მოლოდინებთან შეჯახება იწვევს ემოციურ დაძაბულობას და თვითიზოლაციას. ხშირია შემთხვევა, როცა ქალი, სტიგმის შიშით, უარს ამმბობს აქტიურ შრომით ჩართულობაზე, ან ირჩევს დროებით და ნაკლებად შესამჩნევ სამუშაოს, რაც თავის მხრივ ამცირებს დასაქმების შესაძლებლობებს (Massey, 2007). ზოგ შემთხვევაში, დაბრუნებულებს ისევ მიგრაციისკენ უბიძგებთ ის განცდა, რომ უცხოეთში მეტად თავისუფლად და დაცულად გრძნობდნენ თავს. სწორედ ამ სტიგმატიზაციამ გამოიწვია ქალებში დისტანცია საზოგადოებასთან და განაპირობა მათი იზოლაცია, რაც არამარტო ემოციური რეაქციია, არამედ რეალური ბარიერი შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის გზაზე. ამ ფონზე, სახელმწიფოს მხრიდან არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების არარსებობა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების არქონა იწვევს იმას, რომ სოციალური გარემო თვითონ ხდება რეინტეგრაციის შემაფერხებელი ფაქტორი.

მიუხედავად არსებული სტიგმებისა და ტრადიციული მოლოდინებისა, ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოება მნიშვნელოვან მხარდაჭერ ძალად იქცევა დაბრუნებული მიგრანტი ქალებისთვის, განსაკუთრებით, რეგიონებში, სადაც მჭიდროა სოციალური კავშირები, ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ საკონდიტრო საქმიანობას ეწევა, აღნიშნავს: ,,პირველი შეკვეთები

სწორედ მეზობლებისგან მივიღე, მათი გვერდში დგომა მარწმუნებდა, რომ მარტო არ ვარ“. (55 წლის ქალი, თბილისიდან. 12/05/2025). მაგრამ ასეთ ინიციატივებს ხშირად არა სახელმწიფო, არამედ თვითორგანიზებული ჯგუფები და ადგილობრივი ახალგაზრდები აყალიბებენ, რაც აჩვენებს სახელმწიფოს პოლიტიკის დეცენტრალიზებულ, არათანმიმდევრულ ბუნებას. მაგალითად, კახეთის რეგიონის ერთ-ერთ სოფელში დაბრუნებულ ქალებთან ადგილობრივმა ახალგაზრდული ცენტრის წევრებმა გამართეს საინფორმაციო შეხვედრები და ქალებს შრომის ბაზარზე დაბრუნების რეალური შესაძლებლობები გააცნეს. ერთ-ერთი ქალი, რომელიც იტალიაში მუშაობდა მოხუცის მომვლელად, ამბობს, რომ ,,არც ემიგრაციაში ყოფნისას და არც დაბრუნების შემდეგ არ მიგვრძნია, რომ ჩემს სიტყვას ფასი ჰქონდა, მაგრამ როცა შეხვედრებზე მომეცა საშუალება ჩემი გამოცდილების გაზიარების, მივხვდი, რომ ჩემს ცოდნას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონოდა“. (50 წლის ქალი, კახეთიდან. 2/05/2025)

ეს მხარდაჭერა ხშირად გარდაიქმნება გრძელვადიან, მყარ სოციალურ კავშირებად. მაგალითად, თბილისში დაბრუნებულმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელიც მცირე სამკერვალო საქმიანობას ეწევა თავდაპირველად საზოგადოებისგან დახმარება ვერ მიიღო, თუმცა მოგვიანებით თავად გახდა სხვა ქალებისთვის მხარდაჭერის წყარო კონტაქტების გაზიარებით, დოკუმენტურ თუ საკანონმდებლო საკითხებში დახმარებით. ქალები თვითონ ქმნიან მხარდამჭერ ქსელებს, რაც სისტემური პოლიტიკის არარსებობის პირობებში ინდივიდუალური გამარჯვების მაგალითია, მაგრამ არა ინსტიტუციური სტაბილურობის ნიშანი. მიგრაცია აღარ აღიქმება როგორც ,,სირცხვილი“ ან ,,წარსული მარცხი“, არამედ როგორც გამოცდილება, რომელსაც შეუძლია სხვებისთვის სარგებელიც მოიტანოს. მიუხედავად თემური თუ ინდივიდუალური ინიციატივებისა, ისინი ლოკალურ დონეზე იზოლირებულად რჩებიან და არ გადააქვთ სათქმელი სტრუქტურულ პოლიტიკურ დონეზე. აქედან გამომდინარე, ქალის დაბრუნება ოჯახის სივრცეში და მისი სოციალლური ადაპტაცია საზოგადოებრივ დონეზე ვერ იძენს პოლიტიკურ კონტექსტს სახელმწიფოს მხრიდან, რაც ქალის შრომით რეინტეგრაციას აქცევს არათანაბარ და არამდგრად პროცესად. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს ჩართულობა უნდა გაფართოვდეს არა მხოლოდ

ეკონომიკური სტიმულების სახით, არამედ სოციალურ პოლიტიკაში, რომელიც დააკავშირებს ოჯახს, თემს და მიგრანტ ქალს ერთიან რეინტეგრაციის ჩარჩოში.

3.2 ემიგრაციაში მიღებული გამოცდილების გავლენა რეინტეგრაციის პოლიტიკურ გარემოზე

ემიგრაციაში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქალთა პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, რაც პირდაპირ აისახება მათი დაბრუნების შემდგომ ადაპტაციასა და შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის შესაძლებლობებზე. რეინტეგრაციის პროცესში მათი უნარებისა და ცოდნის რეალიზაცია უნდა აღიქმებოდეს როგორც რესურსი, რომლის მაქსიმალურად გამოყენებასაც სწორედ სახელმწიფო პოლიტიკა უნდა უწყობდეს ხელს. თუმცა რეალობა აჩვენებს, რომ სახელმწიფოს არსებული რეინტეგრაციის მექანიზმები ვერ ასახავს ამ გამოცდილების სიღრმესა და გენდერულ სპეციფიკას. რესპონდენტთა გამოცდილების საფუძველზე ჩანს, რომ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც ემიგრანტ ქალებს სამშობლოში დაბრუნებისას ეხმარება, ეს არის პასუხისმგებლობა და ეკონომიკური თუ სოციალური დამოუკიდებლობა, რასაც განიცდიდნენ ისინი ემიგრაციაში ცხოვრებისას დაბრუნების შემდეგ, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მტკიცე სურვილი, უფრო ამყარებს მათ ადგილს შრომის ბაზარზე. ქალებს გამომუშავებული აქვთ ისეთი უნარები, როგორიცაა საქმიანობის დაგეგმვა, შესრულება, თვითგამორკვევა, რომლებიც მათ სირთულეების დაძლევაში ეხმარებათ. რამდენიმე რესპონდენტის გამოცდილების მიხედვით, ირკვევა, რომ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ დარწმუნდნენ საკუთარ ძალებში და იქ ყოფნისას ჩამოყალიბებულმა კომუნიკაციის უნარებმა და პიროვნული დამოუკიდებლობის მძაფრმა სურვილმა, განსაზღვრა მათი წარმატებული რეინტეგრაცია, აღნიშნულმა გამოცდილებამ კი ქალები ფსიქოლოგიურადაც გააძლიერა.

თუმცა, მეორე მხრივ, ემიგრაციაში განცდილი ავტონომიის განცდა ხშირად კონფლიქტში მოდის პატრიარქალურ წესრიგთან. ქალი, რომელმაც უცხოეთში თავი იპოვა, როგორც პროფესიულად, ისე პიროვნულად დამოუკიდებელმა, დაბრუნებისას ისევ აღმოჩნდება სოციო-კულტურულად მისთვის მიუღებელ მოლოდინებში, ამან კი

შექმნა დაძაბულობა, რასაც სტრუქტურულ-კულტურულ ბარიერებს უწოდებენ და ხშირად შეუმჩნევლად უშლის ხელს რეინტეგრაციის პროცესს. პროცესს კიდევ უფრო ართულებს ის, რომ რეინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა ვერ ითვალისწინებს ფსიქოსოციალურ საჭიროებებს. ქალები მარტო რჩებიან საკუთარ პრობლემებთან და მის აღიარების მცდელობასთან, მაშინ როცა სოციალური სტრუქტურები მათ კვლავ ტრადიციული როლებისკენ უბიძგებენ. (Mestvirishvili, Zurabishvili, & Zurabishvili, 2017)

დაბრუნების შემდეგ პრობლემა შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ საზოგადოებაში არსებული წესრიგის გამო, არამედ შრომის ბაზარზე არსებული არასტაბილურობის შედეგადაც, რის გამოც ემიგრანტ ქალებს არ ეძლევათ საშუალება გამოიყენონ ესა თუ ის ემიგრაციაში გამომუშავებული უნარები, რადგან შრომის ბაზარზე მოთხოვნა და ტენდეციები, ხშირ შემთხვევაში სხვაგვარად არის ჩამოყალიბებული. ამ ყველაფრის ფონზე, ქალს უწევს საკუთარი პროფესიული ღირებულებების განმარტება ან მტკიცება თავიდან, რაც კიდევ ერთხელ ამძაფრებს ფსიქოლოგიურ სტრესსა და სოციო-ეკონომიკური ზეწოლის განცდას. ქალებისთვის, რომლებმაც ემიგრაციაში წარმატებით განივითარეს მენეჯერული ან მომსახურების უნარები, სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ამ კომპეტენციებს ადგილობრივ ბაზარზე კვალიფიკაციის სახით აღიარებს. სოციალური კაპიტალის თეორიის მიხედვით, ცოდნა და უნარები რეალურ ღირებულებას იძენენ მხოლო მაშინ, როდესაც ისინი თავსებადია იმ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსთან, რომელშიც უნდა განხორციელდეს მათი გამოყენება (Bourdieu, 1986). ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვები: ,,უცხოეთში უფრო ძლიერი ვიყავი, ვიდრე აქ “ (59 წლის ქალი, კახეთიდან 6/05/2025) გამოხატავს შინაგან კონფლიქტს იმ სივრცეებს შორის, სადაც ქალი პროფესიულად დაფასებული იყო და იმ გარემოს შორის, სადაც დაბრუნებისას მისი ეს ძალა უგულებელყოფილია. ასეთ შემთხვევაში პრობლემა არ არის მხოლოდ მიკრო დონეზე- ქალის გამოცდილებისა და გარემოს შეუსაბამობაში, არამედ მაკრო დონეზეც- სახელმწიფოს სისტემური უუნარობა ამ გამოცდილების მიღებისა და მხარდაჭერისთვის შესაბამისი პოლიტიკის ფარგლებში (Castle & Miller, 2009).

პოლიტიკის დონეზე პრაქტიკულად ვერ ხორციელდება ინდივიდუალური საჭიროების შეფასება და უნარების აღიარება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალების მიერ უცხოეთში პრაქტიკულად შეძენილი კომპენტენციები ოფიციალურად არ ყალიბდება. მაგალითად, მოვლის, კულინარიის ან სერვისის სფეროში დაგროვილი გამოცდილება დაბრუნებისას იშვიათად იღებს ადგილობრივ სერტიფიცირებულ ან კვალიფიკაციურ ფორმას, რაც რეალურად ზღუდავს მათ შრომით ბაზარზე თანასწორ წვდომას. ამის ფონზე, ნათელია, რომ რეინტეგრაციის პროცესის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია არა მხოლოდ ქალების ემიგრაციისას დაგროვილ უნარებზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად არის სახელმწიფო მზად შექმნას მოქნილი და ინდივიდზე მორგებული პოლიტიკა. თუმცა ამ ეტაპზე რეინტეგრაციის მხარდაჭერის სახელმწიფო მექანიზმები ნაკლებად ეხმარება ქალების რეალურ საჭიროებებს. მიგრაცია, როგორც ტრანსფორმაციული გამოცდილება, ხშირად რჩება პოლიტიკის ფარგლებს გარეთ.

ამრიგად, სახელმწიფოს როლი არ უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ იმით, რამდენად სთავაზობს ის კონკრეტულ პროგრამებს დაბრუნებულ მიგრანტებს, არამედ იმითაც, თუ რამდენად უწყობს ხელს იმ გამოცდილების აღიარებასა და ჩართვას, რომელიც ქალებმა ემიგრაციაში მოიპოვეს. რეინტეგრაციის პოლიტიკა, რომელიც ვერ ხედავს ამ გამოცდილებას, თავისთავად ქმნის ბარიერს. ინვესტიციად ქცეული ემიგრაცია რეინტეგრაციის პროცესში ხელახალ დაკარგულ წლებად იქცევა. სწორედ ამიტომ, რეინტეგრაციის ანალიზი განხორციელდეს როგორც მიკრო (ინდივიდუალურ), ასევე მაკრო (სოციალურ და ეკონომიკურ) დონეზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გამოიკვეთოს, როგორ გარდაქმნის ემიგრაციაში მიღებული გამოცდილება ქალების პოზიციას და რატომ ვერ ხდება ეს გარდაქმნა ყოველთვის წარმატებულად. ხოლო რესპონდენტთა ნარატივები კი აჩვენებს, რომ დაბრუნება, როგორც მოვლენა, არასდროს არ არის ნეიტრალური. იგი აღსავსეა კონფლიქტებით, ილუზიებით, ფსიქოლოგიური დისონანსით და ზოგჯერ ტრანსფორმაციული შესაძლებლობით. ამ ფონზე, გარდა მიღებული გამოცდილებისა, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს დაბრუნების მოტივებიც, რადგან ისინი ძირეულად განსაზღვრავენ რეინტეგრაციის დინამიკასა და გამოწვევებს.

3.3 სამშობლოში დაბრუნების მოტივების გავლენა რეინტეგრაციის პროცესზე

დაბრუნება მიგრაციის ფუნდამენტური კომპონენტია, რომელიც ხშირად განიხილება როგორც მიგრაციის ,,დასრულება", თუმცა რეალურად წარმოადგენს ახალ სოციალურ, ეკონომიკურ და იდენტობის ტრანსფორმაციის ეტაპს. იგი განსაზღვრავს არა მხოლოდ დაბრუნების დროს, არამედ აყალიბებს ინდივიდის შიდა რესურსებსა და მოლოდინებს, იმგვარად, რომ ის ხშირად წინასწარ განაპირობებს რეინტეგრაციის ხარისხს. მიუხედავად მრავალფეროვანი გამოცდილებისა, რაც მიგრანტ ქალებს აქვთ, სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული პროგრამები იშვიათად ასახავს ამ დაბრუნების რეალობას. ფრანჩესკო კერასის ტიპოლიგიის საფუძველზე დაბრუნება შეიძლება იყოს წარუმატებლობის შედეგი, წარმატების კულმინაცია, კულტურული მოტივაციის გამოხატულება ან დროებითი გადაწყვეტილება. ამ განსახვავებულ მოტივებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს არა მხოლოდ ქალის მოლოდინები და ემოციური მდგომარეობა, არამედ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეინტეგრაციის მექანიზმების არსებობა ან არქონა (Cerase, 1974).

დაბრუნების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შემთხვევა იძულებითი ე.წ. ,,წარუმატებელი დაბრუნება", რომელიც ხშირად დაკავშირებული იმედგაცრუებასთან, ეკონომიკური მიზნების მიუღწევლობასთან ან ემოციურ და კულტურულ გაუცხოებასთან, რის შედეგადაც რეინტეგრაცია მიმდინარეობს იმედგაცრუების, თვითშეფასების დაკარგვისა და ფინანსური პრობლემების ფონზე. (Cerase, 1974). მიუხედავად ამ მოტივით დაბრუნების, სახელმწიფო პოლიტიკა (ერთჯერადი ფულადი დახმარება თუ ტრენინგები) პრაქტიკულად უგულებელყოფს ამ ჯგუფის სპეციფიკურ საჭიროებებს, არ არსებობს ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა ან შრომით ბაზარზე ეტაპობრივი ინტეგრაციის მექანიზმი. შედეგად, ქალები რეინტეგრაციას იწყებენ არა რესურსებით, არამედ სირთულეებით, რაც ამცირებს მათი ჩართულობის შესაძლებლობას ადგილობრივ ეკონომიკაში.

კულტურული გაუცხოების შედეგად დაბრუნებულ ქალთა გამოცდილება კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთს რეინტეგრაციისა და სახელმწიფო პოლიტიკას შორის ნაკლოვან კავშირს. მიუხედავად იმისა, რომ ქალები ხშირად ბრუნდებიან სტაბილური მატერიუალური მდგომარეობი, მათი შინაგანი კონფლიქტები, იდენტობის კრიზისი და განცდა, რომ არ ეკუთვნოდნენ მასპინძელ საზოგადოებას, საჭიროებს კულტურულად სენსიტიურ მიდგომებს რეინტეგრაციის პოლიტიკაში, რაც ნაკლებად გათვალისწინებულია. ამგვარი სისტემური იგნორირება ადასტურებს, რომ პოლიტიკა კვლავ უგულებელყოფს ემიგრაციის ფსიქო-სოციალურ მახასიათებლებს. არაერთი რესპონდენტი საუბრობდა, რომ მიუხედავად ფინანსური სტაბილურობისა, თავს მუდმივად გრძნობდნენ სტუმრად, რაც დროთა განმავლობაში იქცა დაბრუნების მოტივად.

წარმატებული ინტეგრაცია მასპინძელ საზოგადოებაში დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: მიგრანტის ადაპტაციის უნარსა და მასპინძელი კულტურის ტოლერანტობაზე. ონტოლოგიური და პრაგმატული იდენტობის სტრატეგიები გამოკვეთს დაპირისპირებას, რაც წარმოიშობა მიგრანტის შინაგან და გარეგან მოთხოვნებს შორის (Cammileri & Malewska-Peyre, 1997). ონტოლოგიური სტრატეგია გულისხმობს მიგრანტის მიერ საკუთარი კულტურული იდენტობის შენარჩუნებას, რაც აისახება მის ჩაცმულობის სტილში, ცხოვრების წესში, მორალურ ღირებულებებში. ხოლო პრაგმატული სტრატეგია კი, პირიქით, გულისხმობს მასპინძელი კულტურის ნორმების ნაწილობრივ ან სრულად მიღებას, რაც იწვევს საკუთარი იდენტობის შესუსტებას (Cammileri & Malewska-Peyre, 1997 მიგრანტ ქალთა რეალურ გამოცდილებაში ეს ორი სტრატეგია კონფლიქტში მოდის ერთმანეთთან, ზოგიერთი ცდილობდა და ცდილობს შეინარჩუნოს საკუთარი კულტურული წესები, რაც ართულებს მასპინძელ გარემოსთან სრულად ადაპტაციას, სხვები კი ერგებიან უცხო კულტურას, მაგრამ ამ პროცესში უმკლავდებიან შინაგან სირთულეებს. ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც იტალიაში მუშაობდა, ამბობს: ,,როცა გარეთ გავდიოდი, ვცდილობდი ისე მოვქცეულიყავი, ისე ჩამეცვა, მესაუბრა ხალხთან, რომ არ შევემჩნიე სხვებს, მაგრამ შინაგანად მაინც გაუცხოებას განვიცდიდი.“ (47 წლის ქალი, თბილისიდან 11/05/2025). ეს გახლავთ ნათელი მაგალითი ორმაგი იდენტობის

დაძაბულობისა. ასეთ ფონზე დაბრუნება, კულტურული დისონანსი, როგორც წარუმატებელი დაბრუნების მიზეზი, უნდა განვიხილოთ, არა როგორც მარცხი, არამედ როგორც სოციალური მხარდაჭერის შედეგი მასპინძელი კულტურის მხრიდან.

სწორედ კულტურულ მიუღებლობასთან არის დაკავშირებული ,,კონსერვატიული დაბრუნება", როდესაც ბრუნდება იმავე ღირებულებებითა და შეხედულებებით, რომლითაც წავიდა და არც უცდია უცხო კულტურაში ინტეგრაცია, ამ ტიპის დაბრუნება არ არის მოტივირებული მიღწეული მიზნების საფუძველზე ან დაბრუნება მარცხის გამო, ის ემყარება ძირითადად ტრადიციულ შეხედულებებს, ოჯახურ ვალდებულებებს, შინაგან მორალურ მოთხოვნებს. ამგვარ ემიგრანტებს აქვთ ცვლილებების მიმართ დაბალი მიმღებლობა. ერთ-ერთი დაბრუნებული ემიგრანტი ქალი ამბობს: ,,იქ ვერაფერს შევეჩვიე, ჩემიანები მენატრებოდა, არც ენა ვისწავლე კარგად და არც ვცდილობდი, რადგან ვიცოდი რომ აუცილებლად უნდა დავბრუნებულიყავი, რადგან შვილებს აქ მეტად ვჭირდებოდი". (ინტერვიუ 48 წლის ქალთან, კახეთიდან, 3/05/2025) ეს ნათლად გამოხატავს იმას, რომ მიგრაცია იყო საჭირო ნაბიჯი ფინანსური საჭიროებების გამო, მაგრამ შინაგანი მოთხოვნილება და კავშირი კვლავ სამშობლოსთან ასოცირდებოდა. ასეთი მოტივით დაბრუნებული ქალები დაბრუნების შემდეგ შრომის ბაზრისთვის ,,მოუმზადებლები" აღმოჩნდნენ და ვერც პროგრამები დაეხმარათ, რადგან ის მიზნად ისახავს უკვე განვითარებულ ან პროფესიულად ორიენტირებული ჯგუფების გაძლიერებას, რაც კიდევ უფრო ზრდის უთანასწორობას.

წარმატებული დაბრუნების შემთხვევაში ქალები გეგმავენ რეინტეგრაციას, აგროვებენ კაპიტალს, იძენენ უნარებს და დაბრუნებისას თავად ცდილობენ თვითდასაქმებას, საკუთარი წინასწარ დაგროვილი ფინანსების გამოყენებით, მიუხედავად, იმისა, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერა ხშირ შემთხვევაში ამ ჯგუფსაც მინიმალურად ეხება. რეინტეგრაციის პოლიტიკის არათანაბრად განხორციელებული ბუნება, კერძოდ, არარსებული ზედამხედველობა, უკუკავშირის მექანიზმების ნაკლებობა და გენდერულად სენსიტიური მიდგომის არქონა, ქმნის გარემოს, სადაც ქალის წარმატება დიდწილად მის ინდივიდუალურ გამბედაობასა და სოციალური

კაპიტალის უნარზეა დამოკიდებული. ერთ-ერთი რესპონდენტის მაგალითი, რომელმაც დანაზოგით სამკერვალო გახსნა და სხვებსაც ასწავლის, აღნიშნავს: ,, წარმატებული რეინტეგრაცია გამბედაობასა და წინასწარ დაგროვილ ფინანსურ მზაობაზეა დამოკიდებული და არა სისტემურ დახმარებაზე“ (57 წლის ქალი, თბილისი, 16/05/2025)

ქართულ რეალობაში გამოიკვეთა დაბრუნების მეხუთე ტიპი, რომელიც კერასის არც ერთ მოდელს არ შეესაბამება. იგი გამოწვეულია მოულოდნელი ფაქტორებით და არა პირადი არჩევანით, ჯანმრთელობის გაუარესებით, ახლობლის გარდაცვალებით ან ასაკობრივი ფაქტორით. ასეთშემთხვევაში ქალები ბრუნდებიან მოუმზადებლად, არც ფინანსური რესურსი, არც ფსიქოლოგიური მზაობა და არც პროფესიული გეგმა არ აქვთ. ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც ჯანმრთელობის გაუარესების გამო დაბრუნდა, აღნიშნავს: ,,არც ფიქრის დრო მქონდა, არც ფული დამრჩა...ახლა აქ ვარ ყველანაირად მოუმზადებელი“ (67 წლის ქალი, კახეთი, 9/05/2025). ეს ნარატივი გამოხატავს კრიზისულ დაბრუნებას, რომლის დროსაც არც მოტივაციაა, არც მიღწეული წარმატება და არც განცდა ,,დასრულებული ფაზის“. რეინტეგრაციის პროცესი ამ დროს გადადის თვითგადარჩენის რეჟიმში. განსაკუთრებით რთულადაა საქმე ხანდაზმულობის გამო დაბრუნებულ მიგრანტების შემთხვევაში, რადგან არ გააჩნიათ სისტემური მხარდაჭერა დაბრუნებისას. შრომისუნარიანობის დაქვეითების გამო და მათთვის შესაფერისი სამუშაო ადგილების არ არსებობის გამო, პრაქტიკულად გამოთიშულნი არიან ეკონომიკურ პროცესს.

ამრიგად, დაბრუნების მოტივები არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ინდივიდიაულური ფსიქოლოგიური მახასიათებლები, ისინი გაჯერებულია იმ სისტემური პირობებით, სოციალური მოლოდინებით, გენდერული ნორმებით, რომელსაც უპირისპირდება სახელმწიფოს რეინტეგრაციის პოლიტიკის ნაკლოვანობები. წარმატებული დაბრუნება ხდება მაშინ, როდესაც ინდივიდის ფინანსური და ფსიქოლოგიური მზაობა თავსდება მხარდამჭერ პოლიტიკურ და ინსტიტუციურ მექანიზმებში (Cassarino, 2004). როცა ეს მექანიზმები არ არსებობს ან მხოლოდ ფორმალურად, მაშინ წარმატების შანსი მხოლოდ უმცირესობას რჩება. სწორედ ამიტომ, წარმატებული რეინტეგრაცია და დაბრუნება უფრო დამოკიდებულია

მიგრანტის სუბიექტურ მზაობაზე, ვიდრე ემიგრაციაში გატარებულ წლებზე. ეს ყველაფერი ნათლად აჩვენებს, რომ დაბრუნების ტიპების ცოდნა და მათი კავშირი სახელმწიფო პოლიტიკასთან არა მხოლოდ აკადემიური ანალიზის, არამედ პრაქტიკული პოლიტიკის დაგეგმვის წინაპირობა უნდა გახდეს. რეინტეგრაციის პოლიტიკა ვერ იქნება ეფექტიანი, თუ ის იგნორირებას გაუკეთებს ქალების დაბრუნების მოტივებსა და მათ მიერ გაწეულ ემოციურ, ეკონომიკურ და იდენტობის ტრანსფორმაციის პროცესს.

დასკვნა

ქალების შრომითი მიგრაცია და შემდგომი რეინტეგრაცია საქართველოში არ შეიძლება გაანალიზდეს მხოლოდ დემოგრაფიული ან ეკონომიკური მონაცემების კონტექსტში. ეს პროცესი ასახავს იმ კომპლექსურ სოციალურ-კულტურულ რეალობას, რომელიც ქვეყნის შიგნით არსებული სტრუქტურული პრობლემების ფონზე ვითარდება. ქალების აქტიური ჩართულობა შრომით მიგრაციაში არა მხოლოდ აძლევს ამ ფენომენს ახალ სოციალურ მნიშვნელობას, არამედ მათ გამოცდილებას აქცევს პოლიტიკის ანალიზის მნიშვნელოვან რესურსად. ნაშრომის მიზანი ყურადღებას ამახვილებს სწორედ იმ განზომილებაზე, რომელიც პოლიტიკურ აკადემიურ კვლევაში კვლავაც ნაკლებად არის შესწავლილი, ეს არის დაბრუნებული ქალების შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის სირთულე, რაც მჭიდროდ უკავშირძება სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკასა და მის ინსტიტუციურ ჩარჩოს. ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ დაბრუნებული ქალების შრომითი რეინტეგრაცია არ ხორციელდება თანაბარი შესაძლებლობებითა და საკმარისი მხარდამჭერი მექანიზმებით. მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაცია ქალებისთვის ხშირად წარმოადგენს სუბიექტური ავტონომიის, ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და უნარების განვითარების პროცესს, დაბრუნების შემდეგ ისინი აღმოჩნდებიან ისეთ სოციალურ და ინსტიტუციურ გარემოში, რომელიც მათ გამოცდილებას ვერ გარდაქამნის რეალურ პროფესიულ აქტივად.

თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულმა საჯარო ციკლის მოდელმა შესაძლებელი გახადა გაანალიზებულიყო, რამდენად პასუხობს სახელმწიფოს რეინტეგრაციის პოლიტიკა და პროგრამები ამ პროცესის ყველა ეტაპზე ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალების რეალურ საჭიროებებს. აღნიშნულმა მიდგომამ განაპირობა კვლევითი კითხვის პასუხების სიღრმისეული ანალიზი და ძირითადი მიგნებების ფორმულირება. ანალიზმა აჩვენა, რომ როგორც პოლიტიკის დაგეგმვის, ისე შეფასების ეტაპზე იგნორირებულია ინდივიდუალური საჭიროებები, გენდერული სპეციფიკა, ემიგრაციის გამოცდილება, დაბრუნების მოტივები და ადგილობრივი შრომის ბაზრის სტრუქტურა. რეინტეგრაციის პოლიტიკა, პრაქტიკაში წარმოადგენს სტანდარტული პროგრამების ნაკრებს და არ ფუნქციონირებს როგორც მოქნილი, მიზნობრივი ჩარჩო, რომელიც

ადაპტირდება კონკრეტული ჯგუფების საჭიროებებზე. შესაბამისად, დაბრუნებული მიგრანტი ქალებისთვის რეინტეგრაცია ხდება არა განვითარებაზე ორიენტირებული ნაბიჯი, არამედ დამატებითი გამოწვევა, რაც ემიგრაციის სარგებელს მნიშვნელოვნად ამცირებს. ინტერვიუების საფუძველზე მიღებული მიგნებები აჩვენებს, რომ სახელმწიფო რეინტეგრაციის პოლიტიკას უმთავრესად ტექნიკური განზომილება აქვს და ნაკლებად ეფუძნება სოციალურ ინტეგრაციაზე ორიენტირებულ ხედვას. შედეგად, ქალების მიერ მიღებული შრომითი გამოცდილება რჩება არა როგორც კაპიტალი, არამედ დაუმუშავებული რესური, რის გამოც ისინი შრომის ბაზარზე იკავებენ დაბალანაზღაურებად, არასტაბილურ და არაფორმალურ პოზიციებს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქალების დაბრუნების მოტივები, იქნება ეს იძულებითი, ოჯახური მიზეზით ნაკარნახევი თუ ეკონომიკურად დაგეგმილი, არსებითად განაპირობებს მათ რეინტეგრაციის პოტენციალს. თუმცა არსებული პოლიტიკა ამ განსხვავებას არ აღიარებს. კვლევამ აჩვენა, რომ რეინტეგრაციის სირთულე მხოლოდ ინსტიტუციური პრობლემებით არ განისაზღვრება. საზოგადოებაში დამკვიდრებული კულტურული ნორმები და ქალის როლის სტერეოტიპული აღქმა ხშირად კონფლიქტში მოდის იმ თავისუფლებებისა და თვითშემეცნების გამოცდილებასთან, რაც ქალებმა ემიგრაციაში შეიძინეს. ეს წინააღმდეგობები კი მძაფრად აისახება მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და შრომით მოტივაციაზე. ამგვარად, კვლევა ადასტურებს დაშვებას: ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალების შრომის ბაზარზე რეინტეგრაცია არასრულფასოვანია, რაც გამოწვეულია როგორც სახელმწიფოს პოლიტიკის ინსტიტუციური და გენდერული შეუსაბამობით, ისე შრომის ბაზრის სტრუქტურული სირთულეებითა და საზოგადოებაში არსებული სოციალურ-კულტურული ნორმებით.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალების შრომით რეინტეგრაციაზე საუბარი სცილდება მხოლოდ სოციალურ პროგრამებს ან დასაქმების მაჩვენებლებს. ეს არის კომპლექსური სოციალური პროცესის ანარეკლი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ინსტიტუტების და საზოგადოების რეაგირების უნარს სწრაფად ცვალებად სოციალურ რეალობაზე. შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია უკვე

აღარ არის ახალი ფენომენი, თუმცა რეინტეგრაციის პოლიტიკა კვლავ ახლებურ ხედვას მოითხოვს, გენდერულად მგრძნობიარე, მოქნილ და გრძელვადიან ჩარჩოს, რომელიც აღიარებს ქალების გამოცდილებას, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. ეს კვლევა სწორედ ამ სივრცეს ხსნის, სადაც მათი გამოცდილება გადაიქცევა ანლიზად, ანალიზი სტრატეგიად და სტრატეგია რეალურ სიცოცხლესუნარიან პოლიტიკად. იმ პირობებში, როდესაც საქართველოში მიგრაცია კვლავ რჩება ათასობით ქალისთვის ერთადერთ გამოსავლად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მათი ღირსეული დაბრუნებისა და სამართლიანი რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად იმაზე მეტია, ვიდრე მხოლოდ სტატისტიკის აღრიცხვა. ეს არის სოციალური სამართლიანობის საკითხი, რომელიც საჭიროებს მიზანმიმართულ, ადეკვატურ და გრძელვადიან პოლიტიკურ ხედვას, აუცილებელია სახელმწიფო მიდგომების გადახედვა გენდერულ პერსპექტივაში და სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინირებული მოქმედება. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი, რომ დაბრუნებული ქალების შრომითი გამოცდილება გარდაიქმნას რეალურ აქტივად შრომის ბაზარზე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც მათ პირად, ისე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ბენდელიანი, ნ., ტურკი, პ., ამაშუკელი, მ., & ხეჩუაშვილი, ლ. (2014). გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნება: 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში: ყოველწლიური ანგარიში (2024). https://www.geostat.ge/ka

საქსტატი. (2024). მიგრაციის სტატისტიკური მაჩვენებლები. https://www.geostat.ge/ka

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2024), სამუშაო ძალის მაჩვენებლები- 2024 წლის IV კვარტალი. https://www.geostat.ge/ka

საქართველოს მიგრაციის კომისია. (2021). საქართველოს მიგრაციის სტრატეგია 2021–2030 წლებისთვის. https://migration.commission.ge/files/ms_21-30_ge.pdf

საქართველოს მიგრაციის კომისია. (2020). რეინტეგრაციის გზამკვლევი. https://migration.commission.ge/files/reintegracia.pdf

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2024). რეინტეგრაციის პროგრამები – RSA. https://rsa.mfa.gov.ge/reintegration-programs

სოციალური კვლევების ცენტრი (CSS). (2019). გენდერული გამოწვევები დაბრუნებული მიგრანტი ქალებისთვის საქართველოში. თბილისი: CSS.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი.(2021). არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში: გამოწვევები და სარეფერმო ხედვა (გვ.33-39)

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. (2025). დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროგრამა. https://idp.moh.gov.ge/editor/upload/20250609122148-ProgramaMigrantebi.pdf

ტუხაშვილი,მ., ანანიაშვილი, ი., ცარციძე, მ., ლაცაბიძე, ნ., შელია, მ. & ჭელიძე, ნ. (2012). შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში თბილისი:უნივერსალი.https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11194/1/Reintegracia_Saqartveloshi.pdf

ჩაჩავამ მ., & ზუბაშვილი, ნ. (2023) ქართველი შრომითი მიგრანტი ქალების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა. კვლევა: ,,ქალები საერთო მომავლისთვის" (WECF), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/2023-11/lmw_geo_web3.pdf

ჭელიძე, ნ. (2013). მიგრაციის მენეჯმენტის პოლიტიკის განვითარების ტენდენციები საქართველოში. მიგრაციის კვლევის ცენტრი.

Amuedo-Dorantes, C., & Pozo, S. (2006). Migration, remittances, and male and female employment patterns. American Economic Review, 96(2), 222-226 https://www.aeaweb.org/articles?id=10.1257/000282806777211946

Amuedo-Dorantes, C., & Pozo, S. (2006). Remittances and the labor supply in Mexico. International Migration Review, 40(1), 48–67.

Bourdieu, P. (1986). The forms of capital. In J. Richardson (Ed.), Handbook of Theory and Research for the Sociology of Education (pp. 241–258).

Camilleri, C., & Malewska-Peyre, H. (1997). Socialization and identity strategies. In C. Camilleri (Ed.), Stratégies identitaires (pp. 71–110). Paris: PUF.

Caritas. (2012). Migration and the role of Women in Economic Development.Tbilisi: Caritas Georgia.

Cassarino, J, P. (2004). Theorising return migration: The conceptual approach to return migrants revisited. International Journal on Multicultural Societies, 6(2), 253-279.

Center for Social Sciencies (CSS). (2014). Gender discrimination in the labour marken in Georgia. Tbilisi: Center for Social Sciencies.

Center for Social Sciences (CSS). (2019). Reintegration challenges of Georgian return migrants and role of the state. Tbilisi: Center for Social Sciencies.

Cerase, F. P. (1974). Expectations and Reality: A Case Study of Return Migration from the United States to Southern Italy. International Migration Review, 8(2), 245–262. https://doi.org/10.2307/3002783

Castles, S., & Miller, M. J. (2009). The age of migration: International population movements in the modern world (4th ed.). Palgrave Macmillan.

IOM. (2021). Returning female migrants face more reintegration challenges than men-IOM study. International Organization for Migration. https://www.iom.int/news/returning-female-migrants-face-more-reintegration-challenges-men-iom-study

Heckmann, F. (2006). Reintegration of migrants: A challenge for modern European societies. European Forum for Migration Studies (EFMS), University of Bamberg.

Hofmann, E.T., & Buckley, C. J. (2013). Global Changes and Gendered Responses: The Feminization of Migration From Georgia. International Migration Review, 47(3), 508–538.

Howlett, M., Ramesh, M., & Perl. A. (2009). Studying public policy: Policy cycles and policy subsystems (3rd ed.). Oxford University Press.

Kofman, E. (2004). Family-related migration: A critical review of European studies. Journal of Ethnic and Migration Studies, 30(2), 243–262.

Lasswell, H, D. (1951), The policy oriention. In D. Lerner & H.D. Lasswell (Eds), The policy sciences: Recent developments in scope and method (pp, 3-15), Stanford University Press.

Lynch, K. (1960). The image of the city. MIT Press, (p.45)

Mataradze, T., Turkiashvili, N., & Elikashvili, M. (2024). Gender and labor market in Georgia. Social Justice Center. https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/gender-labor-market-2024.pdf

Massey, D,S.(2007) The Migration of Women and Families: Impact and Implications. Migration Studies, 34(2), 125-140)

Mestvirishvili, M., Zurabishvili, T., & Zurabishvili, T. (2017). Georgian Women Migrants: Experiences Abroad and at Home. Gender in Georgia (pp.181-193).

OECD. (2022). A Review of Georgian Emigrants https://www.oecd.org/en/publications/a-review-of-georgian-emigrants_00df3f32-en.html

OECD & Caucasus Research Resource Center - Georgia. (2017). Interrelations between Public Policies, Migration and Development in Georgia. https://www.oecd.org/en/publications/interrelations-between-public-policy-migration-and-development-in-georgia_9789264272217-en.html

OECD/CRRC-Georgia (2017), Interrelations between Public Policies, Migration and Development in Georgia, OECD Development Pathways, OECD Publishing, Paris

Penninx, R. (2016). Reintegration of migrants and their role in development. International Organization for Migration (IOM).

Piper, N. (2003). Bridging Gender, Migration and Governance: Theoretical Possibilities in the AsianContext. Asian and pacific migration journal, 12(1-2).

Ruhs, M., & Anderson, B. (2010). The Migration of Women and Families: Impact and Implications. Migration Studies, 34(2), 125-140

Stalker, P (2000). Workers without frontiers: The impact of globalization on international migration. International Labour office.

True, J. (2003). Mainstreaming gender in global public policy. International Feminist Journal of Politics, 5(3), 368–396. https://doi.org/10.1080/1461674032000122758

Tukhashvili, M. (2013) Socio-economic problems of returning migrants' reintegration in Georgia (CARIM-East RR 2013/15). Migration Policy Centre, Robert Schuman Centre for Advanced Studies, European University Institute. https://core.ac.uk/download/pdf/45683656.pdf

Zurabishvili, T., & Zurabishvili, T. (2010). The feminization of labor migration from Georgia: The case of Tianeti. Research and Development Foundation.

UNDP, (2022). Labour Migrant Women and Employment Challenges in Georgia. United Nations Development Programme Georgia. https://www.undp.org/georgia/press-releases/labour-migrant-women

UN Women. (2019). Women's economic empowerment in Georgia. UN Women.

Vanore, M., & Siegel, M. (2015, May 21). The evolution of gendered migration trajectories from Moldova & Georgia. Comparative Migration Studies, 3(4).

დანართი

დანართი I

ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტი ქალებისთვის:

1. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ თქვენი ემიგრაციის გამოცდილება - რა იყო წასვლის მთავარი მიზეზი და როგორ იმოქმედა ამ პერიოდმა თქვენს პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე?

2. რა მიზეზით დაბრუნდით საქართველოში და როგორ უკავშირდება ეს გადაწყვეტილება თქვენი რეინტეგრაციის პროცესს- სოციალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური თვალსაზრისით?

3. საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული როლების მოლოდინმა როგორ იმოქმედა თქვენს შრომით ჩართულობაზე დაბრუნების შემდეგ? განიცდიდით თუ არა კულტურულ ან იდენტურობის დისონასს ოჯახსა და საზოგადოებაში?

4. როდესაც გადაწყვიტეთ შრომის ბაზარზე დაბრუნება, სცადეთ თუ არა სახელმწიფოს რეინტეგრაციის პროგრამაში მონაწილეობა? თუ კი- როგორ შეაფასებდით მას? თუ არა- რატომ?

5. რა ძირითადი სირთულეები შეგხვდათ შრომის ბაზარზე დასაქმების ან საქმიანობის დაწყების კუთხით? მოკლედ რომ მოგვიყვეთ თქვენ შრომითი რეინტეგრაციის გამოცდილება

6. ამ პროცესში მიგიღიათ თუ არა რაიმე სახის დახმარება სახელმწიფო ან ადგილობრივი ინსტიტუციისგან? თუ კი - რამდენად იყო ის მორგებული თქვენს კონკრეტულ საჭიროებებს?

7. თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ ემიგრაციაში მიღებული უნარები აღიარებულია თუ არა სახელმწიფოს მიერ როგორც კვალიფიციური გამოცდილება ადგილობრივი შრომის ბაზრისთვის?

8. თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, რა ძირითადი ცვლილებაა საჭირო რეინტეგრაციის პოლიტიკაში, რათა ის იყოს გენდერულად მგრძნობიარე და რეალურად მორგებული ქალ მიგრანტთა საჭიროებებზე?

9. თქვენი აზრით, რა შეიძლება დაეხმაროს დაბრუნებულ ქალებს, რომ მათი შრომითი რეინტეგრაცია ფსიქოლოგიურად ნაკლებად სტრესული და ეკონომიკურად უფრო წარმატებული გახადონ?

10. თქვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით, რას დაამატებდით ჩვენს საუბარს? ხომ არ გამოგვრჩა ისეთი ფაქტორი ან გამოცდილება, რომელმაც მნიშვნელოვნად იმოქმედა თქვენს შრომით რეინტეგრაციიის პროცესზე?